ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

9 — 10 მარტი, 2013 | №57 (6058) | ფასი: 30 თეთრი

9 მარტიდან!
„ახალი თაობა“ + სოჯახო სამზარეულო
ტომი 5
2 ლარი და 30 თეთრი



გვ.4

„ვანო მერაბიშვილი აგვისტოს ომის დროს რუს გენერლებს ხვდებოდა“

გვ.5

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „დაზღვევის დღეს მოქმედი სისტემა პაციენტს არაფერს აძლევს“

თავდაცვის სამინისტროსთვის განკუთვნილი საწვავით ნაცმოძი გრიალებდა

გვ.3

მოსთხოვენ თუ არა პასუხს დიმიტრი შაშკინს და გიგი კალანდაძეს

„სააკაშვილი აფრასიძეების საქმეზე დაიკითხება“

გვ.4

გვ.5

ირაკლი სესიაშვილი: „წიკლაურმა ახალაიას ნაჩუქარი იარალი სამინისტროს დაუბრუნოს“

როდის გაუმჯობესდება საქართველოში დემოგრაფიული ვითარება

გვ.6

გვ.6

ირაკლი ღარიბაშვილმა თანამშრომელ ქალებს 8 მარტი პირადად მიულოცა

მოზარდ მაყურებელთა თეატრი ახალ ცხოვრებას იწყებს

გვ.9

გვ.2

ვაჟა ოთარაშვილი: „ივანიშვილის თურქეთში ვიზიტი მოუმზადებელი იყო“

9 771987 938006

ვაჟა ოთარაშვილი: „ივანიშვილის თურქეთში ვიზიტი მოუმზადებელი იყო“

შორენა კოწოწაშვილი

მწერალი ვაჟა ოთარაშვილი პარლამენტის და მთავრობის წევრთა, აგრეთვე მაღალჩინოსანთა გენეალოგიის გასაჯაროებას მოითხოვს და მიაჩნია, რომ ეს ძალიან ბევრ რამეს გამოკვეთს, მათ შორის იმას, რომელი პოლიტიკური ფიგურა რომელი ქვეყნის ინტერესებს ემსახურება ღიად თუ ფარულად.

რა შეცდომა დაუშვა ივანიშვილმა და არიან თუ არა მის გუნდში ნაციონალური მოძრაობის ინტერესების გამტარებლები? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მწერალ ვაჟა ოთარაშვილთან.

– ბატონო ვაჟა, ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო გუნდი აქტიურად ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ივანიშვილის მთავრობა სუსტია და რომ იუსტიციის მინისტრს შესაბამისი იურიდიული განათლება არ გააჩნია, რომელიც იუსტიციის მინისტრისთვის, როგორც უმაღლესი პროკურორისთვის აუცილებელია. რას ნიშნავს წინა ხელისუფლების მხრიდან წულუკიანის განათლების დონეზე საუბარი იმ დროს, როცა ნაციონალების ერთ-ერთ დეპუტატს, წინა პარლამენტში, ლეიბორისტები წერა-კითხვის უცოდინარობაში ადანაშაულებდნენ.

– ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილი აქვს საბოტაჟს საქართველოს წინააღმდეგ; ნაციონალური მოძრაობის ჩვენი სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელი საქმიანობის ჩვეულებრივად გაგრძელებას ათასი მტრული, ინტრიგნული ხერხების გამოყენებით. მე მიმაჩნია და დარწმუნებული ვარ, რომ თეა წულუკიანი არის ძალიან მაღალი დონის იურისტი. მაღალი კვალიფიკაციის მქონე და ამავე დროს, ქართულად მოაზროვნე, ქართული ცნობიერების მინისტრი. აი, ეს აღიზიანებს ნაციონალურ მოძრაობას. მთავარი მიზეზი მათი არის ის, რომ ქართულად მოაზროვნე, ქართული სულით აღსავსე ახალი მთავრობის მინისტრებს მიაყენონ შეურაცხყოფა.

– ნაციონალებს აქვთ მორალური უფლება, რომ სხვების განათლებაზე, კვალიფიციურობაზე ისაუბრონ?

– არავითარი მორალური უფლება არ აქვთ იმ ცხრაწლიანი პერიოდის შემდეგ, რაც მათ საქართველოს თავს დაატეხეს. მე მოვითხოვ შემდეგს, ეს მიღებული ფორმაა აშშ-ში, ასევე ევროპასა და მთელ მსოფლიოში: მოხდეს საქართველოს პარლამენტის წევრთა, როგორც უმცირესობის, მე მათ ოპოზიციას ვერ დავარქმევ, ასევე უმრავლესობის, ასევე მთავრობის წევრების და მნიშვნელოვან სახელმწიფო საჯარო მოხელეთა გენეალოგიის შესწავლა-გამომზეურება და დაბეჭდვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. საქართველოს მოქალაქეებმა ინფორმაცია უნდა მიიღონ მთავრობისა და პარლამენტის წევრების გენეალოგიის შესახებ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არის არა მხოლოდ მისი დედ-მამა და მეუღლე, არამედ ვინ იყვნენ მისი პაპა და ბებუა და ა.შ. ეს აუცილებელია. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მე სხვა კომენტარს გავაკეთებ. მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ გარკვეული ანტიქართული ძალები არა მარტო თავიანთი „მოღვაწეობით“, არამედ თავიანთი გენეტიკითაც ებრძვიან ქართული სახელმწიფოს გენს. როდესაც მოხდება პარლამენტის და მთავრობის წევრთა გენეალოგიის ლუსტრაცია, დასკვნებს შემდეგ გავაკეთებ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ინფორმაცია გამოქვეყნდება?

– მე მოვითხოვ და როგორც საქართველოს მოქალაქეს, მაქვს უფლება, ეს არის ჩემი კონსტიტუციური უფლება და ამიტომ ვთხოვ პარლამენტს, საქმის კურსში ჩამაყენონ, ვინ არის გენეალოგიით ჩემი მთავრობა, პარლამენტი და მაღალი თანამდებობის პირები.

– რატომ გაგიჩნდათ ამ ინფორმაციის განსაჯაროების მოთხოვნის აუცილებლობა. ეჭვი გაქვთ, რომ სახელმწიფოს მაღალი რანგის თანამდებობის პირები ან მთავრობის წევრები შეიძლება სხვა ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდნენ? ზემოთ საბოტაჟზე მიანიშნეთ.

– ეს არ არის უბრალო საბოტაჟი. ამიტომაც კიდევ ვიმეორებ, ეს არის ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება. ქართული ცნობიერების წინააღმდეგ შეგნებული სვლა. ამიტომაც საჭიროა ამ ნაბიჯის გადადგმა. ვფიქრობ, რომ ამ ინფორმაციის ცოდნა ხალხისთვის აუცილებელია. ვიცი, რომ ამ მხრივ ბევრი თანამოაზრე მყავს. კულუარებში ამაზე ძალიან ხშირად მიდის ლაპარაკი. ამას წინათ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დემოკრატიის უპრეცედენტო მაგალითი აჩვენა მთელ მსოფლიოს. მთელმა მსოფლიომ გაიგო, მისი მშობლები და მისი წინაპრები ვინ იყვნენ, სად ცხოვრობდნენ და რომელი აღმსარებლობის იყვნენ. ამიტომ ვამბობ, თუ ჩვენ ვართ ამერიკის პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა, მივბაძოთ და პარლამენტის და მთავრობის წევრებმა უტყუარად გამოაქვეყნონ თავიანთი გენეალოგია. მე ვფიქრობ, ეს ინფორმაცია სახელმწიფო დონეზე გარკვეულმა ინსტიტუტებმა უნდა შეისწავლონ. ეს უნდა გადავიდეს პოლიტიკურ ჩვევაში. როდესაც კაცი სახელმწიფოს მმართველობაში მიდის, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არის და საიდან მოვიდა, რა ინტერესები აქვს და რა გენეტიკა.

– ბატონო ვაჟა, რატომ გაგიჩნდათ კითხვის ნიშნები ეროვნული უსაფრთხოების დაცვის კუთხით. რაიმე კონკრეტული ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?

– მაინტერესებს საქართველოს ეროვნული უშიშროების სამსახური ჩვენი ქვეყნის უშიშროებას და უსაფრთხოების დაცვას ემსახურება თუ სხვა ქვეყნის ინტერესებს იცავს. ანუ საქართველოს უსაფრთხოების ინტერესების დაცვას ემსახურება თუ სხვა ქვეყნის ინტერესებს საქართველოში. შეიცვალა თუ არ შეიცვალა უშიშროების უწყების მიდგომა? იმიტომ, რომ სააკაშვილის დროინდელი უშიშროების და უსაფრთხოების სამსახურები სახელმწიფოს ინტერესების განადგურებას ემსახურებოდა. ამას ხაზგასმით ვამბობ. მაინტერესებს, შეიცვალა თუ არა ეს ატმოსფერო და ეს დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოსადმი საქართველოს უშიშროების სამსახურებისა, თუ ისევ ის ხალხი აგრძელებს ჩვეულებრივად, ისევ იმ „ბედნიერ“ მოღვაწეობას საქართველოს „საკეთილდღეოდ“?!

– ეჭვი გეპარებათ, რომ ახალი ხელისუფლების მხრიდან ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ხდება მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმა?

– მე მგონია, რომ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ორგულთა მოჯადოებული წრე ჰყავს გარშემო, რომლებიც მას გარკვეულ ხაფანგს უწყობენ და გარკვეულ კამპანიას ატარებენ მისი იმიჯის დასამცირებლად. ასეთი მოჯადოებული წრის წევრები მხოლოდ საპარლამენტო უმცირესობაში არ არიან. ასეთი ადამიანები ივანიშვილის მთავრობაშიც არიან. ანუ სამინისტროთა და სხვა საჯარო სამსახურთა მოხელეები არ შეცვლილან. ის ხალხი, ვინც წინა ხელისუფალის სურათებს აფრიალებდა, დღესაც იგივე პიროვნების ინტერესებს ატარებს. ასე რომ, არავითარი ცვლილება ამ კუთხით არ არის. იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელსაც ატარებს ბიძინა ივანიშვილი, არ ემსახურება საქართველოს მთავრობა და პარლამენტი. აი, ეს შთაბეჭდილება მრჩება მე.

– ივანიშვილის ნაბიჯებს შორის ყველაზე მეტი კითხვის ნიშანი ქვეყნის მეზობლებთან მიმართებაში გაჩნდა. იგივე თურქეთში ვიზიტი და მეჩეთების მშენებლობაზე თანხმობა თურქეთში სწორი გადაწყვეტილებაა?

– რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის თურქეთში ვიზიტს, მე ვფიქრობ, ეს ვიზიტი იყო მოუმზადებელი. ეს, რა თქმა უნდა, ივანიშვილის ბრალი არ არის, ეს არის იმათი ბრალი, ვინც ვიზიტს ამზადებს. მე მიმაჩნია, რომ ამ ვიზიტის ე.წ. შედეგი, ჩვენი ისტორიული ძეგლებისათვის ერთობლივი საექსპერტო კომისიების შექმნა, ეს ეხება „ოშკს“ და სხვა ძეგლებს, ასევე ბათუმში მეჩეთების აშენების თანხმობა, ეს არის ძალიან დიდი შეცდომა. არ ვიცი, ეს არის შეგნებულად დაშვებული შეცდომა საქართველოს მთავრობის მიერ თუ უცოდინრობით მოხდა ივანიშვილის მცდარ გზაზე დაყენება. შეიძლება მავანთა ინტერესებშიც არის ივანიშვილს გარკვეული შეცდომები დააშვებინონ. ვინ მოამზადა ეს პროექტი, საგარეო საქმეთა სამინისტრომ თუ კულტურის სამინისტრომ, ვერ გეტყვით. ერთი კი ყველამ უნდა იცოდეს, რომ თურქეთს საქართველოს ტერიტორიის ძალიან დიდი ნაწილი აქვს მიტაცებული; რომ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებობს ქართული კულტურის უნიკალური ძეგლები – პარხალი, იშხანი, ოშკი, ხანძთა და ა.შ. აი, ეს ძეგლები არის ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები. ეს ხაზგასმით უნდა ითქვას და მთელ მსოფლიოს უნდა ეცნობოს – გაეროს, იუნესკოს და როგორც თავის დროზე ბერძნებმა შეძლეს, რომ თავიანთი ტაძარი, რომელიც თურქებს მეჩეთად ჰქონდათ გადაკეთებული, აღადგენინეს მაცხოვრის და ღვთისმშობლის ფრესკები, ისევე, როგორც სომხებმა შეძლეს თავისი ეკლესიებისა და მონასტრების დაცვა თურქეთის ტერიტორიაზე, არა იმის სანაცვლოდ, რომ ერევანში ანდა ლენინაკანში მეჩეთები ააშენონ, ასევე უნდა შევძლოთ ჩვენ ჩვენი ისტორიული ძეგლების დაცვა თურქეთის ტერიტორიაზე. არავითარი ოსმალური კულტურის ძეგლი არ ყოფილა საქართველოში. ეს მხოლოდ მე-17 საუკუნის პერიოდში გაჩნდა, როცა საქართველო იყო დაძაბუნებული და დაქუცმაცებული. მაშინ ააშენეს ჩვენთან ეს მეჩეთები დამპყრობლებმა. ეს ცალსახად უნდა ითქვას. ამიტომაც, როდესაც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს მთავრობა, მან კონსულტაციები უნდა გაიაროს საქართველოს საპატრიარქოსთან, ეკლესიასთან და ჭეშმარიტად ქართულად მოაზროვნე ისტორიკოსებთან; იმ სპეციალისტებთან, რომლებმაც იციან ქართული სიძველეები და კარგად ესმით არქეოლოგია. თუ არა, შეეკითხონ მეუფე ანანიას, რომელმაც შესანიშნავი ოთხტომეული გამოსცა ჩვენი ეკლესიის და ერის ისტორიის. სამწუხაროდ, ივანიშვილის მთავრობაშიც არიან მოკალთებული ის ძალები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის ხაზს აგრძელებენ და ერის ისტორიას და ინტერესებს არ ითვალისწინებენ.

გიორგი ბარამიძე: „თავდაცვის სამინისტრო უკიდურესად პოლიტიზირებულია“

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი ბარამიძის განცხადებით, სამწუხაროა, რომ თავდაცვის სამინისტრო უკიდურესად პოლიტიზებულია და პოლიტიკური თემებით არის დაკავებული.

ასე გამოეხმაურა გიორგი ბარამიძე თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც წინასაარჩევნო პერიოდში ნაციონალური მოძრაობა შეიარაღებული ძალების საწვავით მარაგდებოდა. ბარამიძე მიიჩნევს, რომ მათი განცხადებების უმეტესობა ხელისუფლების ოპონენტებზე ანუ ნაციონალურ მოძრაობაზე თავდასხმის მიზნით არის გაკეთებული.

ბარამიძის განმარტებით, თავდაცვის სამინისტროს რაც არ უნდა ბრალდება ჰქონდეს, გამოსაძიებელია.

,,ეს არის მხოლოდ ბრალდება და არა მტკიცებულება. ამასთან დაკავშირებით რაიმე აჟიოტაჟის ატეხვა არ ღირს და თუ საჭიროდ თვლიან, ეს საკითხი უნდა გამოიძიონ“, – აცხადებს ბარამიძე.

მედიანიუსი

„საქართველო ევროპულ სტანდარტებს შორდება“

„მე ვწუხვარ, რომ ვხედავ, საქართველო, რომელსაც ახლა პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მართავს, ევროპულ სტანდარტებს შორდება და ის პროგრესი, რომელიც გასულ დეკადაში ვარდების რევოლუციის შემდეგ იქნა მიღწეული, გამრუდებულია“. ევროპის სახალხო პარტიის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ეს განცხადება პოლონელმა ევროპარლამენტარმა, ევროკავშირის პარლამენტის უშიშროების კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე კშიშტოფ ლისეკმა გააკეთა.

„საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების დაზიანება შესაძლოა, მუდმივი იყოს და პრემიერ-მინისტრი საკუთარი ხალხის ევროპული ოცნების დასამარებას რისკავს“, – აცხადებს სახალხო პარტიის წევრი დეპუტატი.

მედიანიუსი

გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, სააკაშვილის მიერ დაცვაზე უარის თქმა გაუმართლებელია

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 1 მარტიდან 8 მარტამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა, პრეზიდენტის მიერ დაცვაზე უარის თქმას გაუმართლებლად მიიჩნევს.

კითხვაზე – „ თქვენი აზრით, გამართლებულია თუ არა პრეზიდენტის მიერ დაცვაზე უარის თქმა“, მონაწილეთა 55,6 პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა, საწინააღმდეგო მოსაზრება კი 16,7 პროცენტმა დაფიქსირა. ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, მონაწილეთა 27, 7 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

ფინანსური შემოწირულობის საფუძველზე, პრობაციონერის შვილს ოპერაცია გაუკეთდა

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომლების ინიციატივით, ფინანსური შემოწირულობის საფუძველზე, გუშინ, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში, ერთ-ერთი პრობაციონერის 9 წლის შვილს, რომელსაც დაბადებიდან ჯანმრთელობის თანდაყოლილი პრობლემები ჰქონდა, ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, პრობაციონერს და მის შვილს, სამინისტროს თანამშრომლების ძალისხმევით, თავდაპირველად საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობების მიღებაში გაეწიათ დახმარება, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ, სოციალურად დაუცველის სტატუსი მიეღოთ, შემდგომ, არასრულწლოვანს ყოვლისმომცველი სამედიცინო გამოკვლევები და ბოლო ეტაპზე კი ურთულესი ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდება. პაციენტი სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა მოინახულა.

ნიუსპრესი

საზოგადოებრივ მაუწყებელში ამ დროისთვის დირექტორობის მსურველთა 11 განაცხადია შესული

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, მაუწყებელს განცხადებით, ამ დროისთვის უკვე 11-მა კანდიდატმა მიმართა.

კონკურსი, გენერალური დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, სამეურვეო საბჭომ ორი დღის წინ გამოაცხადა, მანამ კი მოქმედ დირექტორს გიორგი ბარათაშვილს უფლებამოსილება შეუჩერა.

ამასთან, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ლევან გახელაძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება არასწორია, მაშინ საბჭო გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსს შეაჩერებს.

ნიუსპრესი

განათლების სამინისტრომ ყველაზე ხანდაზმულ და ყველაზე ახალგაზრდა პედაგოგს რვა მარტი მიულოცა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ალუდა გოგლიჩიძემ და სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ლევან ქებურიამ, გუშინ, ყველაზე ხანდაზმულ და ყველაზე ახალგაზრდა პედაგოგებს რვა მარტი მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ალუდა გოგლიჩიძე, ოზურგეთის რაიონის სოფელ გომისა და მელექედურის საჯარო სკოლების ისტორიის მასწავლებელს 92 წლის ეთერ გარაყანიძეს სახლში ეწვია, ქალთა დღე მიულოცა და სამინისტროს სახელით საჩუქარი გადასცა.

სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ლევან ქებურიამ კი, რვა მარტი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის ინფორმატიკის 18 წლის მასწავლებელს, შალალა ნასიბოვას მიულოცა და საჩუქარი გადასცა. შალალა ნასიბოვა საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა მასწავლებელია.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თავდაცვის სამინისტროსთვის განკუთვნილი საწვავით ნაცმოძი გრიალებდა

მოსთხოვენ თუ არა პასუხს დიმიტრი შაშკინს და გიგი კალანდაძეს

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნების წინ ნაციონალური მოძრაობის წევრებს ფეხი ჰქონდათ ადგმული და მთელ ქვეყანას ივლიდნენ. ცხადია, რკინის ქალამნებით არ დადიოდნენ. ქვეყნის დასალაშქრად მანქანებში სხდებოდნენ. მარტო თავად რომ წასულიყვნენ, რაღა გვიჭირდა. ყვითელი მარშრუტკებით რომ დაატარებდნენ ხალხს, ეს ამბავიც კარგად გემახსოვრებათ. ამდენი მანქანიანი ნაციონალის გადაადგილებას საწვავი სჭირდებოდა. საწვავს კი, როგორც გაირკვა, სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან იღებდნენ.

თამაშგარე მდგომარეობაში არც თავდაცვის სამინისტრო აღმოჩენილა. სამეგრელოს რეგიონში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებისთვის საწვავის მიწოდება უკანონოდ ხდებოდა. ამ საკითხზე თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა ვაკო ავალიანმა და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა, ვიცეპოლკოვნიკმა კახაბერ ჩიხრაძემ გუშინ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

– ამჯერად საუბარია საქმეზე, რომელსაც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიცია იძიებს. აღნიშნულ საქმეს, შესაძლოა, პირობითად ვუწოდოთ „ქართული არმიის საწვავი ნაციონალური მოძრაობისთვის“. ეს ეხება წინასაარჩევნო პერიოდს, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, თუ როგორ ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის მომარაგება საწვავით საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან. ამ ეტაპზე საქმე ეხება სამეგრელოს რეგიონს, სადაც დახარჯულია სულ 22 000 ლიტრი საწვავი და 16 000 ლიტრი დიზელი. სულ მიყენებულმა ზარალმა ამ ეპიზოდში შეადგინა 55 000 ლარი და ეს ხდება იმ დროს, როცა მინისტრი იყო დიმიტრი შაშკინი, – განაცხადა ვაკო ავალიანმა.

დიმიტრი შაშკინი საქართველოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა. მან პრესკონფერენციაც გამართა. თავს ყველაფერში უდანაშაულოდ მიიჩნევს და ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად მზადაა. თავდაცვის სამინისტროს გაკეთებული განცხადების შემდეგ მას დამატებით კითხვებზეც მოუწევს პასუხის გაცემა. პასუხების გასაცემად შესაძლოა გენერალი გიგი კალანდაძეც დაიბარონ.

სამხედრო პოლიციის შეფის კახაბერ ჩიხრაძის განცხადებით, 2013 წლის 29 იანვარს, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის საგამოძიებო განყოფილებაში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო. საქმე ეხებოდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება-გაფლანგვის ფაქტს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ 2012 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის იმდროინდელმა უფროსის მოადგილემ გიორგი კალანდაძემ სიტყვიერი ბრძანებით, შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდალს გიორგი კერესელიძეს დაავალა, II ქვეითი ბრიგადის მეთაურისთვის ზვიად გაგუასთვის, მოთხოვნის შესაბამისად დიზელისა და ბენზინის საწვავი მიეწოდებინა. საწვავი უნდა მიეწოდებინათ მუხიანის საწვავ-საპოხი მასალების ბაზიდან ამავე ბაზის ბენზინმზიდებით, რომლებიც აღჭურვილი იქნებოდნენ საწვავის მრიცხველებით და ავტომანქანის ავზში ბენზინის ჩასასხმელი მოწყობილობით. მძღოლები უნდა ყოფილიყვნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული და ჩამორთმეული უნდა ჰქონოდათ სამსახურებრივი მოწმობები. მანქანებზე დამაგრებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო ოპერატიული ნომრები და მათ მოხსნილი უნდა ჰქონოდათ სამხედრო ტრანსპორტისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, რათა მოსახლეობას აღექვა, როგორც სამოქალაქო სატრანსპორტო საშუალებები.

გ. კერესელიძემ გ.კალანდაძის ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაავალა ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შტაბის უფროსს დავით ლაზიაშვილს, რომელიც უკავშირდებოდა ზ.გაგუას და საწვავის სენაკში გაგზავნის თაობაზე დავალების მიღების შემდეგ მითითებას აძლევდა მუხიანის ბაზის მეთაურს ღენტორ მელაძეს. ამ უკანასკნელმა მეორე ქვეით ბრიგადაში 2012 წლის 22, 26 და 28 სექტემბერს გააგზავნა დაახლოებით 22 000 ლიტრი ბენზინი და 14 600 ლიტრი დიზელის საწვავი.

ბრიგადის მეთაურმა ზ. გაგუამ მუხიანის ბაზიდან მიღებული ზემოაღნიშნული საწვავი დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად წინასწარი შეთანხმებით გაფლანგა და გასცა სამეგრელოს რეგიონში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებზე,

რათა მათ შეძლებოდათ წინასაარჩევნო ღონისძიებებზე ტრანსპორტით გადაადგილება. ამისათვის მან უკანონოდ გასცა: 8 სექტემბერს ბრიგადის საცავებში შენახული დიზელის საწვავი ნაციონალური მოძრაობის მიერ დაქირავებულ 14 მიკროავტობუსზე – 839 ლიტრი. 23 სექტემბერს, 227 სატრანსპორტო საშუალებაზე – 6 800 ლიტრი დიზელი და 1 750 ლიტრი ბენზინი. 28 სექტემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის ა/გასამართ სადგურიდან ასევე უკანონოდ გაიცა 4 020 ლიტრი დიზელი და 11 000 ლიტრი ბენზინი. 30 სექტემბერს 45 ავტომანქანაზე 3 370 ლიტრი ბენზინი.

ამდენად 8, 23, 28 და 30 სექტემბერს, როდესაც ნაციონალური მოძრაობის ლიდერები და მათი მხარდამჭერები სამეგრელოს რაიონებში ატარებდნენ მიტინგებს და აქციებს, ზ.გაგუას მითითებით მუხიანის ბაზაზე რიცხული ავტომანქანები იდგნენ ქ.ზუგდიდში, ქ.ხობში და შეუფერხებლად უკანონოდ აწვდიდნენ საწვავს ნაციონალური მოძრაობის მიერ მობილიზებულ სატრანსპორტო საშუალებებს.

ზუგდიდში საწვავის გაცემას ზემოაღნიშნულ ტრანსპორტზე ხელმძღვანელობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე კოხტა კოდუა, ხოლო ხობში კუდ-ის პირველი მთავარი სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი დიმიტრი ჭაკუა.

დანაშაულის დაფარვის მიზნით, მეორე ბრიგადის შტაბის ჯი4-ის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაიორ გოგოლაძის, მომარაგების საწყობის უფროსი გამმართველის სერჟანტ ნოდარ დიასამიძის და შ-4-ის განყოფილების სპეციალისტის სერჟანტ თამაზ შეყრილაძის მიერ, 2012 წლის 25 ოქტომბრის თარიღით შედგენილ იქნა საწვავის გადაცემის ყალბი ცალმხრივი აქტი, თითქოსდა 2012 წლის 28 სექტემბერს 11 080 ლიტრი ბენზინის საწვავი გადაეცა შს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს. აღნიშნულის დასტურად წინამდებარე აქტს დაურთეს სამი ზედდებული საწვავის კონკრეტულ პირებზე გაცემის შესახებ.

ზემოაღნიშნული ყალბი აქტი დაამტკიცა მეორე ქვეითი ბრიგადის მეთაურმა ზვიად გაგუამ.

გამოძიების პროცესში დაკითხულმა მუხიანის საწვავ-საპოხი მასალების ბაზის მძღოლებმა გოგიბერიძემ, პატარაიამ და გოგონაძემ დაადასტურეს, რომ 2012 წლის 22 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე მათზე გაპიროვნებული ავტომანქანებით რამდენჯერმე გადაიტანეს დიზელისა და ბენზინის საწვავი სენაკში, საიდანაც ბრიგადის ხელმძღვანელთა მითითებით, მათივე თანხლებით, ბრიგადის ტერიტორიიდან საწვავი გაჰქონდათ სხვადასხვა ტერიტორიებზე (ხობის ცენტრალურ სტადიონზე, ხობის ყოფილი ასფალტის ქარხნის ეზოში, კერძო პირის ბენზოგასამართ სადგურზე და სხვა) და გასცემდნენ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტთა ავტომანქანებზე, რასაც ,,შავ უწყისებში“ ასახავდნენ ბრიგადის სერჟანტები – შეყრილაძე და ფუტკარაძე.

დაკითხული მძღოლების ჩვენებით ასევე დასტურდება, რომ მუხიანის ბაზის ხელმძღვანელის ღ. მელაძის მითითებით, თავიანთი ბაზიდან სენაკის მიმართულებით ნაცვლად სამხედრო ფორმისა, გადაადგილდებოდნენ სამოქალაქო ტანსაცმლით და ე.წ. ოპერატიული სანომრე ნიშნებით.

გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ შეყრილაძე და ფუტკარაძე საწვავის გაცემას მოქალაქეთა პირად ავტომობილებზე ახდენდნენ ბრიგადის ტერიტორიის გარეთ, მათ შორის სხვა ქალაქებშიც (ხობი, ზუგდიდი), ხოლო ნ.დიასამიძე საწვავს უკანონოდ გასცემდა უშუალოდ ბრიგადის ტერიტორიაზე არსებული ავზებიდან.

მოწმის სახით დაკითხულია დაახლოებით 400 პირი. მათ შორის, 300-ზე მეტი მძღოლი, რომლებიც ადასტურებენ, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრთა დავალებით 2012 წლის სექტემბრის თვეში ისინი მობილიზებული იყვნენ სამეგრელოს რეგიონში და გადაჰყავდათ მათი აქტივისტები ერთი ღონისძიებიდან სხვა ღონისძიებაზე და ისინი საწვავს ისხამდნენ იმ ბენზინმზიდებიდან, რომლებიც ზ.გაგუას დავალებით იყო გაგზავნილი.

გამოძიების მიერ ამოღებულია სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ნაწარმოები ე.წ „შავი უწყისები“ და ზედდებულები, რომელთა მონაცემების მიხედვით, მეორე ბრიგადის მიერ მიღებული საწვავის საერთო რაოდენობიდან 12 315 ლიტრი დიზელის საწვავი და 11 365 ლიტრი ბენზინი უკანონოდ გაიცა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა ავტომანქანებზე, რითაც თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტმა განიცადა 58 536 ლარის ზარალი, – განაცხადა ჩიხრაძემ.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებრივი ქმედების ერთ-ერთი ორგანიზატორი და შემსრულებელი, მეორე ქვეითი ბრიგადის იმდროინდელი მეთაური ზვიად გაგუა აღნიშნული დროსათვის იყო მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული – პრობაციონერი.

საქმეზე გრძელდება გამოძიება ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა მხილებისათვის.

ვერაფერს იტყვი, შესანიშნავად იყო ყველაფერი. თავდაცვის სამინისტროსთვის განკუთვნილი საწვავით ნაცმოძი გრიალებდა.

რამდენიმე დღის წინ ირაკლი სესიაშვილმა წარმოადგინა ფოტომასალა, სადაც გამოჩნდა, რა ფუფუნებაა ჰქონდათ მოწყობილი თავისთვის ბაჩო ახალაიას და სხვა მაღალჩინოსნებს. მათი ავტოპარკიც ფრიად შთამბეჭდავი იყო. ამ დროს ქართველი სამხედროები საშინელ პირობებში იმყოფებოდნენ.

ციხიდან ბაჩო ახალაიამ ამ ყველაფერს სისულელე უწოდა. მისი აზრით, ირაკლი ალასანია აზრზე არ არის ჯარში რა ხდება. „ახალი თაობა“ გთავაზობთ ახალაიას წერილს. დასკვნები თავად გააკეთეთ.

– ჩემთვის საპატიმროში მედიის საშუალებით გახდა ცნობილი იმ ბრალდებების შესახებ, რაც წამოაყენეს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის ბატონებმა, ირაკლი ალასანიამ და ირაკლი სესიაშვილმა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ირაკლი ალასანია გამოირჩევა უპასუხისმგებლო განცხადებებით. იგი მე და ჩემს ოჯახს არჩევნებამდე ღიად გვდებდა ბრალს გაურკვეველი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნაში და „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, მათი გამოყენებით ქვეყანაში არეულობის ორგანიზების მცდელობაში. დღეს საზოგადოებამ დაინახა, რომ ეს ინფორმაცია იყო ტყუილი და მიზნად ისახავდა წინასაარჩევნოდ პოლიტიკური დივიდენდების მიღებას. სწორედ ასეთივე უპასუხისმგებლო განცხადებად შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელი განცხადებები იმის თაობაზე, რომ 2009 წლიდან 2012 წლამდე ქართულ ჯარში არაფერი გაკეთებულა ჯარის გაძლიერებისა და ჯარისკაცებისათვის პირობების გაუმჯობესების კუთხით.

თავდაცვის სამინისტროში ჩახედული პირების მხრიდან, როგორც მინიმუმ, უსინდისობაა ამაზე საუბარი, ვინაიდან მე და ნებისმიერ სამხედრო პირს, კანონი გვიკრძალავს თუნდაც იმ დაცვისა და თავდაცვის ზღუდეებზე საუბარს, რომელიც ჩვენს ქვეყანას, ქალაქებს და თითოეულ ჯარისკაცს მატებს უდიდეს ძალას და ნებისმიერი აგრესიის შემთხვევაში დღეს საქართველო არის უფრო დაცული, ვიდრე იგი იყო 2008 წლამდე.

სწორედ ამ პერიოდში იყო ყოველდღიური შრომა იმისათვის, რომ როგორც ჯარისკაცებს, ასევე ოფიცრებს შექმნოდათ უკეთესი პირობები, ვინაიდან ეს ადამიანები სახელმწიფო სადარაჯოზე იდგნენ. მე მუდამ მათთან ვიყავი და არმია იყო ჩემი ოჯახი. სწორედ მათთან ერთად ვიზიარებდი ნებისმიერ სიხარულსა და მწუხარებას. ჩემი სიამაყეა და შვილივით მიყვარს ის სამხედრო აკადემია და კადეტთა სკოლა, რომელიც ჩემი მინისტრობის პერიოდში აშენდა და მას ანალოგი არ მოეპოვება ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ზოგიერთი დღევანდელი მაღალჩინოსანი აკადემიის და კადეტთა სკოლის ხილვის დროს აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ (ბიძინა ივანიშვილი და გიორგი მარგველაშვილი). ვამაყობ, რომ ჩემი მინისტრობის პერიოდში გახდა სამხედრო განათლება და სამხედრო სამსახური პრესტიჟული. 2009-2012 წლებს უკავშირდება სამხედრო მრეწველობის განვითარება საქართველოში, რისი შედეგიც გახლავთ თვითმავალი რეაქტიული საარტილერიო დანადგარი, უპილოტო საფრენი აპარატი, ავტომატური შაშხანა, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, ნაღმტყორცნები, პირველი ქართული მსუბუქი ჯავშანტრანსპორტიორი დიდგორი, ქვეითი საბრძოლო მანქანა ლაზიკა და სხვა.

გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ დღევანდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებისგან განსხვავებით, არასოდეს საკუთარი თავისთვის პრემია არ გამომიწერია. რაც შეეხება იმ ავტომობილებს, სამუშაო ოთახს და მათ კეთილმოწყობას, მე მესმის დღევანდელი თავდაცვის მინისტრის, რომელიც ვერ იგებს თუ რატომ იყო აღნიშნული ნივთები ეფექტური მუშაობისათვის საჭირო, რადგან დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ დღევანდელი მინისტრი სამუშაო ოთახში ატარებს დღეში მაქსიმუმ 5 საათს და ასევე დანამდვილებით გეტყვით, რომ 6 თვის მუშაობის მანძილზე ჯერ ნახევარიც კი არ აქვს ნანახი იმ ბრიგადებისა, რომელიც ეკუთვნის თავდაცვის სამინისტროს.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ჩემი გულისტკივილია, რომ თავდაცვის სამინისტროში დარჩა არაერთი პრობლემა, რომელიც მოითხოვდა მოგვარებას და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ პრობლემების გადაჭრის ნაცვლად დღევანდელი ხელისუფლება ჯარისკაცის პრობლემებს იყენებს საკუთარი პოლიტიკური პიარისთვის“, – ნათქვამია ბაჩო ახალიას წერილში.

დეპუტატების პრემიები ისევ სალაპარაკო გახდა

დავით უსუფაშვილი განმარტებებს აკეთებს

შორენა მარსაგიშვილი

წინა მოწვევის პარლამენტის წევრები თავს პრემიებით ანებივრებდნენ. ტრადიციას არც ახალმა პარლამენტმა უღალატა. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ პრემიებთან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია გამოაქვეყნა. პარლამენტის თავმჯდომარეებისა და პარლამენტის წევრების პრემიები 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 თებერვლამდე პერიოდს მოიცავს.

ორგანიზაციამ მხოლოდ იმ დეპუტატთა სია გამოაქვეყნა, რომელთაც ახალი მოწვევის პარლამენტში ყველაზე დიდი რაოდენობის პრემიები აიღეს.

– უსუფაშვილი დავითი – 9162 ლარი; დუმბაძე მურმანი – 8831 ლარი; კობახიძე მანანა – 8662 ლარი; აბაშიძე ზურაბი – 8589; ძიძიგური ზვიადი – 8562; ბარამიძე გიორგი – 8562; ჩიქოვანი ირაკლი – 8495; ონოფრიშვილი დავითი – 7631; აბულაშვილი გიგლა – 7604; იმერლიშვილი ირინე – 7577; ბერძენიშვილი დავითი – 7531; ქუცნაშვილი ზაქარია – 7504; ხმალაძე ვახტანგი – 7502; დოლიძე ვიქტორი – 7389; ბესელია ეკა – 7362; ტრიპოლსკი ერეკლე – 7362; ტყემალაძე ზურაბი – 7362; სანიკიძე გუბაზმა – 7362 ლარი დაიმსახურა; ჯაფარიძე თედოს პრემია კი – 7362 ლარით განისაზღვრა, – აღნიშნულია ორგანიზაციის ოფიციალურ საიტზე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა პარლამენტის წევრებისათვის პრემიების გაცემის წესთან დაკავშირებით გუშინ განცხადება გაავრცელა.

მისი თქმით, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, გამოსასწორებელი ისევე, როგორც სხვა სფეროებში, პარლამენტშიც ბევრია.

– მივესალმები არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და საზოგადოების მზარდ დაინტერესებას სახელმწიფო დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზანშეწონილობის და კანონიერების საკითხებით. ამ სფეროში გამოსასწორებელი მართლაც ბევრია, მათ შორის, საქართველოს პარლამენტშიც.

2012 წლის ბოლომდე ჩვენ იძულებული ვიყავით გვემოქმედა უკვე დამტკიცებული საბიუჯეტო პარამეტრებით და პარლამენტის წევრთა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დამკვიდრებული პრაქტიკით. კერძოდ, პარლამენტის წევრები და აპარატის თანამშრომლები წლების განმავლობაში, ყოველ ივნისსა და დეკემბერში, დამატებით იღებდნენ 2-2 თვის გასამრჯელოს, რომელსაც „პრემია“ ერქვა. სინამდვილეში კი, ეს არ იყო „პრემია“, ვინაიდან ყველას, მიუხედავად დამსახურებისა, წელიწადში 12 ხელფასის ნაცვლად, 16 ხელფასი ეძლეოდა. ამ მექანიზმით იმალებოდა ის ფაქტი, რომ პარლამენტის წევრების ყოველთვიური შემოსავალი წლის განმავლობაში 25%-ით აღემატებოდა მათ ოფიციალურ ყოველთვიურ ხელფასს. მეტიც, 2008 წელს პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირების შემდეგ, ბიუჯეტში ისევ იდებოდა შემცირებული 75 დეპუტატის თანამდებობრივი სარგო და ეს თანხა ყოველთვიურად 260 ლარი პრემიის სახით 4 წლის განმავლობაში ნაწილდებოდა დარჩენილ 150 დეპუტატზე, – აცხადებს დავით უსუფაშვილი.

მისივე თქმით, პარლამენტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე, ეს სისტემა შეიცვალა და 2013 წლის იანვრიდან, პარლამენტის წევრებისთვის, არანაირი პრემია არანაირი „შეფუთვით“ გათვალისწინებული არ არის.

„აპარატის თანამშრომლებზე პრემია გაიცემა არა გათანაბრებითი პრინციპით, არამედ დამსახურების მიხედვით. პარლამენტის აპარატის ყოველი ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე წარმოადგენს თითოეული თანამშრომლისთვის კვარტლის ბოლოს გასაცემი პრემიის დასაბუთებას, რასაც პარლამენტის აპარატის უფროსი დაამტკიცებს.

თუმცა, ამით ყველა პრობლემა არ გადაჭრილა, მათ შორის, საჯარო სამსახურში მიღების, დაწინაურების, ატესტაციის, საკლასო ჩინების, დისციპლინური პასუხისმგებლობის და სხვა ბევრი მიმართულებით. პარლამენტში იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამთავრობო უწყებებთან და ექსპერტებთან ერთად შეიმუშავებს კონკრეტულ წინადადებებს საჯარო სამსახურის სისტემის გაუმჯობესების მიზნით. მივესალმები საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობას ამ პროცესშიც“, – ნათქვამია პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებაში.

„სააკაშვილი აფრასიძეების საქმეზე დაიკითხება“

თამარ ნინიძე

ჯოლიცია „ქართული ოცნების“ წინაშე მას შემდეგ, ხაც არჩევნებში გაიმარჯვა, მუდმივად დგას ორი ხთული საკითხი – ჯობიტაცია ნაცმოძალობასთან თუ სამართლიანობის აღდგენა. ორივე ეთად არ გამოდის. ამ ორიდან ეთი ასარჩევია, თუმცა, ჯობიტაციის შემთხვევაში საკუთარ ამომრჩეველს გაანანყენებს და საპრეზიდენტო ელექტორატს მიიღებს, სანაცვლოდ ნაცებთან მოკეკლუცე დასავლეთის გულს მოიგებს, სამართლიანობის აღდგენას თუ აირჩევს, საკუთარი საზოგადოებისგან კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას მიიღებს, მაგრამ ევროპისგან კრიტიკას დაიმსახურებს.

რა უფრო მნიშვნელოვანია – საკუთარი მოსახლეობის ნდობა და მხარდაჭერა თუ დასავლეთისთვის კოჭის გაგორება? აი, ეს მართლაც დილემაა. საინტერესოა, რა მოხდებოდა გერმანიაში, საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებში, მთავრობის წევრები იმ მასშტაბის დანაშაულში რომ ყოფილიყვნენ ეჭვმიტანილი, როგორშიც საქართველოს მთავრობის ყოფილი წევრები არიან. ალბათ, წამყვანი სახელმწიფოების მოსახლეობა ფეხზე დადგებოდა და მასშტაბურ საპროტესტო აქციებს გამართავდა იმის მოთხოვნით, რომ პასუხისგებაში მიეცათ ის მინისტრები, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევაში, კორუფციაში, მკვლელობების ინსცენირებასა და კერძო საკუთრების წართმევაში. საქართველოში უამრავი საქმეა, რომლებსაც მთავარი პროკურატურა სწორედ ამ საჩივრების საფუძველზე იკვლევს.

მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ხალხში მიხეილ ვადაგასულს უწოდებენ, გასულ კვირას აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა გაბედა და ტელეკომპანია „იმედის“ კანონიერი მფლობელისთვის ჩამორთმევის საქმეში სააკაშვილის დაკითხვა არ გამორიცხა. კბილაშვილმა მხოლოდ ვარაუდი გამოთქვა, რომ შესაძლოა სააკაშვილი დაიკითხოს, ვინაიდან ჯოზეფ კეიმ განაცხადა, რომ სააკაშვილი მას ტელეფონით დაუკავშირდა და პირდაპირ აიძულა, ტელეკომპანია ნაცებისთვის გადაეცა. რასაკვირველია, სააკაშვილი გამოძიებამ უნდა დაკითხოს. რაგინდ თაღლითი უნდა უწოდონ კეის, მან ახსნა-განმარტება გამოძიებას მისცა, სადაც სააკაშვილიც ფიგურირებდა. წესით, ცივილიზებულ საზოგადოებაში პრეზიდენტის დაკითხვა პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ, რა გასაკვირია, რომ სააკაშვილი შფოთავდეს, როცა რიგითი დეპუტატი საპარლამენტო უმცირესობიდან დავით საყვარელიძე და დედაქალაქის მერი გიგი უგულავა პროკურატურაში მისვლაზე უარს ამბობენ და საკუთარ კაბინეტებში იბარებენ გამომძიებლებს. კანონმორჩილებაც ასეთი უნდა.

მაინც რა საქმეზე უფრო უნდა დაიკითხოს სააკაშვილი, ტელეკომპანია „იმედის“ ჩამორთმევის თუ უფრო მეტად აფრასიძეების საქმეზე? მაგალითად, კახა კუკავას მიაჩნია, რომ პირველ რიგში სააკაშვილი სწორედ აფრასიძეების ოჯახის უმოწყალოდ ამოხოცვის საქმეზე უნდა დაიკითხოს. სააკაშვილის განცხადება, რომელიც მან სასტუმრო „რედისონში“ გააკეთა იმის თაობაზე, რომ აფრასიძეების ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო და არა მათი დაკავება, პირდაპირ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს ატარებს. თუ პროკურატურა მის გამოსვლას „რედისონში“ წამოსწევს და დადასტურდება, რომ ამ განცხადების ავტორი სააკაშვილია, ეს იმას ნიშნავს, რომ მან სამართალდამცავები წაიქეზა მკვლელობაზე. ნაციონალები, სავარაუდოდ, ახლაც გადაეფარებიან საკუთარ პრეზიდენტს და იტყვიან, რომ აფრასიძეები სვანეთს შიშის ზარს სცემდნენ, მთელი სვანეთი დამონებული ჰყავდათ და სხვაგვარად ვერ იმოქმედებდნენ მაშინდელი ძალოვანი მინისტრები. სხვათა შორის, ნაცებს დღემდე ბოდიში არ მოუხდიათ იმის გამო, რაც მათი მმართველობის დროს საქართველოში ხდებოდა, ამის სურვილიც არა აქვთ. მიაჩნიათ, რომ ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებდნენ, დედასამშობლოს ინტერესებისთვის კეთდებოდა.

როგორც ჩანს, ახლაც სამშობლოს კეთილდღეობისთვის ირჯება სააკაშვილი და არ ამტკიცებს იმ ცხრა ელჩს, რომლებსაც, სხვათა შორის, მისმა საპარლამენტო უმცირესობამაც დაუჭირა მხარი. საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ საგანგებოდ განაცხადა, რომ სააკაშვილი ხელს არ აწერს ცხრა ელჩის დამტკიცებას, რითაც არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნაციონალებს ძველი პოზიციების შენარჩუნება უნდათ უცხოეთში. ნაცებს რომ ჰკითხოთ, ისინი საბოტაჟს არ აწყობენ და ახალ ხელისუფლებას ხელს არაფერში უშლიან, მაგრამ ამაზე თავად საგარეო საქმეთა მინისტრი საუბრობს.

კოაბიტაცია დამნაშავეებთან, ფინანსური ამნისტია ნაცებისთვის და მათთან დაახლოებული ბიზნესწრეებისთვის, შეხმატკბილებული ურთიერთობა საპარლამენტო უმცირესობასთან – ეს არ ყოფილა იმ ამომრჩევლის მოთხოვნა, რომელმაც 1 ოქტომბერს ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა. პირველ რიგში, საკუთარი ხალხი უნდა გყავდეს კმაყოფილი, ჯერ საკუთარი ამომრჩევლის სრული ნდობა უნდა გქონდეს და მერე იფიქრო დასავლეთის სიმპათიებზე. საინფორმაციო პორტალ „ფორ.გე“-სთან ინტერვიუში პოლიტოლოგი კახი კახიშვილი აღნიშნავს, რომ სამართლიანობის აღდგენა და კანონის პატივისცემა რადიკალიზმს არ ნიშნავს.

მიხეილ სააკაშვილი საბერძნეთში ოფიციალური ვიზიტით ბრძანდებოდა, ევროპის სახალხო პარტიას გაეკეკლუცა, ამასობაში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი მძიმე ბრალდებებით დააპატიმრეს და რვა წელი მიუსაჯეს. საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდა სააკაშვილს, როცა ამ ინფორმაციას გაიგებდა. ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი არ უნდა დამკვიდრდეს. ეს იქნება სერიოზული სიგნალი ყოველი მომდევნო ხელისუფლებისთვის, რომ შეიძლება, რაღაც დაეშავო და პასუხი არავინ მოგთხოვოს.

სამართლიანობის აღდგენის პროცესი უნდა გაგრძელდეს, მიუხედავად იმისა, რა რეაქცია ექნება ამაზე დასავლეთს, მაგრამ, ამავე დროს, ახალმა ხელისუფლებამ მიხედოს სხვა საქმესაც, რომ ადამიანებმა მთავრობებს შორის სხვაობა იგრძნონ.

ვალერი გელბახიანი მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დაწყების დეტალებს იხსენებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს“ ლიდერი ვალერი ვალერი გელბახიანის განცხადებით, 2007 წელს მის მიმართ აღძრული საქმე ხანდაზმულობის გამო გამოძიებას უნდა შეეწყვიტა.

მისი თქმით, როდესაც პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე განცხადება გააკეთა, იმავე დღეს პროკურატურიდან მიუვიდა უწყება, რომ აღნიშნული საქმე განახლდა და სასამართლოში გადაგზავნილი იქნა არსებითად განსახილველად.

როგორც გელბახიანმა „პირველი რადიოს“ პრესკლუბში განმარტა, იგი საქართველოში უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევის მსხვერპლი გახდა.

როგორც გელბახიანი ამბობს, საქმე ეხება 2007 წლის 23 დეკემბერს, როდესაც საქართველოს პროკურატურამ მის მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე 315-ე მუხლით, რომელიც გულისხმობს შეთქმულებას სახელმწიფოს წინააღმდეგ .

„მიუხედავად იმისა, რომ ეს პოლიტიკური დანაშაულის ერთადერთი მუხლია, არ მოექცა ამნისტიის ქვეშ. როცა ჩემს მიმართ სისხლის სამართლის საქმე ბადრი პატარკაციშვილთან ერთად აღიძრა, მიმდინარეობდა საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია. პრეზიდენტობის კანდიდატი ბადრი პატარკაციშვილი იყო, რომლის მიმართ ჯერ კიდევ 2 ნოემბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ამავე მუხლით, სწორედ იმ გამოსვლისათვის, რომელიც მან მაშინ პოლიტიკურ მანიფესტაციზე გააკეთა, როცა თქვა, რომ ბოლო კაპიკს დახარჯავდა და შეცვლიდა ხელისუფლებას. ჩვენ შტაბში ყოველდღე ველოდით დაჭერებს, ამიტომ ვიდეო კამერით ვაღებდით საცავს და ოქმს ვადგენდი, რომ არცერთ ოთახში არანაირი იარაღი არ იდო. ამას მხოლოდ პრევენციული თვალსაზრისით ვაკეთებდით, თუმცა ამის მიუხედავად თავი ვერ დავიცავით და არარსებული საფუძვლით დაიწყეს სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტულად იმ ჩანაწერების საფუძველზე, რომელიც ჩემს, პატარკაცშვილსა და შსს-ს მაშინდელი მაღალჩინოსანის საუბარი იყო ჩაწერილი, რომელიც უკანონოდ იყო მოპოვებული და სადაც არცერთი დანაშაულებრივი ნიშნები არ იყო გამოკვეთილი. როცა დაილუქა ეს ჩანაწერები, იმ დღესვე მოხდა ტელევიზიებით ფილმის გაშვება, რომელიც იყო დამონტაჟებული, რადგან ჩანაწერები 15 წუთიანი იყო, ხოლო ფილმი ნახევარსაათიანი. ფილმის ჩვენებასთან დაკავშირებით არ იყო ნებართვა გაცემული საგამოძიებო ორგანოების მხრიდან. ამას გარდა, არ დევს საქმეში არცერთი განკარგულება არც სასამართლოსი, არც პროკურატურის, რომ გახნსილიყო დალუქული ნივთმტკიცება და იგი საჯარო გამხდარიყო საზოგადოესთვის. ამდენად, დანაშაული ჩვენს წინააღმდეგ ჩადენილი იყო ხელისუფლების მხრიდან“, - აღნიშნა გელბახიანმა.

მისივე თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით მან კითხვებით, წერილობითი სახით, რამდენჯერმე მიმართა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და პროკურორს, თუმცა ამ დრომდე პასუხი არ მიუღია.

მედიანიუსი

„ვანო მერაბიშვილი აგვისტოს ომის დროს რუს გენერლებს ხვდებოდა“

გულიკო ბალაძე

კორტებთან დახვრეტილი ზურა ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყოფილ და მოქმედ პოლიციის თანამშრომლებს, რომ ის ხიდი, რომელიც ჩატეხა მიხეილ სააკაშვილმა და ვანო მერაბიშვილმა საზოგადოებასა და შს სამინისტროს შორის, აღდგეს და უნდობლობა აღმოიფხვრას, გამოვიდნენ და სიმართლე ილაპარაკონ.

– თუ უნდათ უნდობლობა აღდგეს, გამოვიდნენ და სიმართლე ილაპარაკონ. ვალდებულები არიან იმიტომ, რომ მათ ყველა ინფორმაცია აქვთ. მხოლოდ სანდროს, ბუტას, გამცემლიძისა და ვაზაგაშვილის საქმეზე კი არა, არამედ ისაუბრონ მათზე, სამგორის მეტროსთან რომ ჩაცხრილეს ბიჭები, ქუთაისში რომ ჩაცხრილეს, უამრავი მკვლელობაა მომხდარი მათი მხრიდან, 170-მდე ახალგაზრდაა მოკლული. გამოვიდნენ და თქვან სიმართლე. ეს მათი ვალდებულებაცაა.

პოლიცია არ უნდა მალავდეს სიმართლეს. პოლიცია საზოგადოების იმედი უნდა იყოს, იმიტომ ვიხდით მათ ხელფასს ბიუჯეტიდან. ეს ჩვენი ხალხის ფულია და ხალხს და კანონს უნდა ემსახურებოდნენ და არა რომელიმე პარტიას. პოლიციასა და ხალხს შორის ნდობა და ძველი ავტორიტეტი რომ აღდგეს, იმიტომ ვალდებულები არიან გამოვიდნენ და სიმართლე ილაპარაკონ, – განაცხადა იური ვაზაგაშვილმა.

იური ვაზაგაშვილის განცხადებით, ისეთი შეცდომები დაუშვეს ნაციონალებმა, რომ საქართველო ათწლეულებით უკან დაწიეს.

– ბატონო იური, თუ გახსოვთ, კიდევ ერთი მსხვერპლი, შს სამინისტროში 2008 წლის 8 აგვისტოს რომ მორიგეობდა და შემდეგ, თუ არ ვცდები, თბილისის ზღვაზე იპოვეს მოკლული.

– ფინანსთა სამინისტროში.

– მგონი, შს სამინისტროში მუშაობდა.

– ის ვაჟა-ფშაველას 20-ში მუშაობდა მორიგედ...

– ითქვა, რომ რაღაც საიდუმლო ინფორმაცია გაიგო და რაღაც ფაქტის შემსწრე გახდა და ამიტომ მოკლეს.

– როგორც მისი მამა ყვება, ის ახორციელებდა უწყების გარე პერიმეტრის დაცვას და დაინახა, როგორ ხვდებოდნენ 2008 წლის აგვისტოში გაჩაღებული ომის დროს რუსი გენერლები ვანო მერაბიშვილს. მამამისის ინფორმაციით, ეს რომ დაინახა, ამიტომ სამსახურის დამთავრების შემდეგ, დაურეკეს, გზიდან დააბრუნეს და წაიყვანეს თბილისის ზღვაზე.

– ბატონო იური, ბოლო დროს გამუდმებული მსჯელობაა სააკაშვილისთვის უფლებამოსილების შეკვეცის საკითხზე, მაგრამ მისი ვადის გასვლის გამო უფლებამოსილების შეწყვეტაზე.

– ჩვენი მოთხოვნა ეს არ იყო. ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ დღევანდელი ხელისუფლება, რომ სამართლიანობა აღმდგარიყო. დამნაშავეები უნდა დაისჯონ, ნაცმოძრაობიდან იქნებიან თუ ვინც არ უნდა იყოს. ხომ მეთანხმებით?

–ცხადია, დამნაშავეებისთვის ხელის დაფარება მიუღებელია.

– ჩვენ იმის შემდეგ ცოტა დავწყნარდით და საზოგადოებამ შეიკავა თავი სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით საპროტესტო გამოსვლებისაგან; იქნება დამნაშავე, უნდა დაისაჯოსო. მან საზოგადოების მოთხოვნა დაადასტურა. საზოგადოება ბატონ უსუფაშვილის ამ განცხადებას ძალიან დადებითად შეხვდა. ჩვენი მოთხოვნაც ეს არის. სამართლიანობის აღდგენა აუცილებელია. ნაციონალები დღემდე ოპოზიციად რომ გვევლინებიან, არ არიან ეგენი ოპოზიციონერები, ეგენი ქვეყნის დამღუპველები არიან. ოღონდ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და უმრავლესობას ჩირქი მოსცხონ და ქვეყანა თუნდაც, საერთოდ, დანგრეულა. ნამდვილ ოპოზიციას სხვა მისია აქვს და სხვა როლს უნდა თამაშობდეს. ოპოზიცია კონსტრუქციულად უნდა მუშაობდეს, ჩასაფრებული უნდა იყოს, რომ ხელისუფლებამ შეცდომა არ დაუშვას, ნაციონალები კი პირიქით, ნატრობენ, შეცდომა დაუშვან. ნახეთ, პარლამენტის ტრიბუნიდან და ტელევიზიისა და პრესის საშუალებით რა განცხადებებს აკეთებენ. ეს უკვე აუტანელია. ხალხს, პირიქით, აღიზიანებენ, ისე იქცევიან ვადაგასული პრეზიდენტი და თვითონ ნაცმოძრაობის ნარჩენები, რომ საზოგადოებას ბევრი არ აკლია, რომ დაიწყოს საპროტესტო გამოსვლები.

– თქვენს კოალიციასა და, საერთოდ, არასამთავრობო სექტორს მიმდინარე პროცესებში რა როლი აკისრია?

– ქვეყანა არის საზოგადოების, დღევანდელი ხელისუფლებაც არის დაქირავებული. ხელისუფლება უნდა ემსახურებოდეს ქვეყანასა და მის ხალხს. მორალური პასუხისმგებლობა და ვალდებულება გვაქვს აღებული მომავალი თაობის წინაშე, რომ არც ერთ ხელისუფლებას შეცდომები აღარ დავაშვებინოთ. ისეთი შეცდომები დაუშვეს ნაციონალებმა, რომ ქვეყანა ათწლეულობით უკან დაწიეს. მათმა პოლიტიკამ, მათმა ნაბიჯებმა სანამდე მიგვიყვანა, კარგად არის ცნობილი – ქვეყნის ტერიტორიის 25%, ჩამოაცილეს ქვეყანას.

– სამწუხაროა, რომ ნაციონალები ვერ გრძნობენ მათ მიერ დაშვებულ ვერც შეცდომას, ვერც დანაშაულს და შედეგად ვერც პასუხისმგებლობას და ძველი ხელისუფლების რიგი წარმომადგენლების მიმართ წაყენებულ ბრალდებებს მუდმივად პოლიტიკურ ზეწოლას მიაწერენ. თქვენს არასამთავრობო კოალიციას რა პოზიცია აქვს?

– ჩვენ ვაცალეთ ახალ ხელისუფალს, რომ დაერეგულირებინა სიტუაცია, გამოენახათ საერთო ენა, მომხდარიყო საკონსტიტუციო ცვლილებები. ძალიან ბევრი ცვლილებაა შესატანი კანონმდებლობაში, რადგან ნაციონალებმა კონსტიტუცია ერთ პიროვნებას მოარგეს და კანონმდებლობაც თავის თავზე მოირგეს. ავიღოთ მოსამართლეების საკითხი. ბრძანებაა, რომ მოსამართლის სახლთან 20 მეტროზე ახლოს ვერ მიხვალ. ეს ხალხი ჩადენილი დანაშაულობების შემდეგ დააზღვიეს. კუბლაშვილი გამოვიდა და თქვა, როგორ შეიძლება მოსამართლის მოწმედ დაკითხვაო. ხალხო, ხომ გესმით, რეებს სჩადიან. ნაციონალები კანონებს რომ ცვლიდნენ და თავის თავზე ირგებდნენ, მაშინ უნდა გამოვსულიყავით. ამ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ. ამიტომ, ჩვენი (ამომრჩევლების, ვინც ეს ხელისუფლება მოვიყვანეთ) კატეგორიული მოთხოვნაა, რომ აღადგინონ სამართლიანობა. ჩვენ, საერთოდ, არ გვაინტერესებს, ქვეყნის გარეთ რას იტყვიან, ჩვენ დემოკრატიული გზით გვინდა სამართლიანობის აღდგენა. მუდმივად რომ მიგვითითებენ ევროპელები, ევროპაში საპროტესტო აქციები რომ ტარდება, ყველაფერს ამტვრევენ, ჩვენთან როდესმე ერთი მინა ჩატეხილა? დემოკრატიას ნუ გვასწავლიან!

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „დაზღვევის დღეს მოქმედი სისტემა პაციენტს არაფერს აძლევს“

ნათია ხურცილავა

ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ „პოლიტიკო-გე-ს“ პრესკლუბში პრესკონფერენცია გამართა.

ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამაზე ისაუბრა, რომლის ამოქმედებაც 28 თებერვლიდან დაიწყო.

კახეთის გუბერნატორის განცხადებით, დაზღვევის დღეს მოქმედი სისტემა პაციენტს არაფერს აძლევს.

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ჯანდაცვის მოქმედ მინისტრს ჯანდაცვის დაზღვევის ახალ პროგრამას უწუნებს და გარკვეულ რეკომენდაციებს სთავაზობს.

– ეს პროგრამა პაციენტს, იმ მოქალაქეს, რომელიც თითქოსდა დაზღვია სახელმწიფომ, პრაქტიკულად,

არაფერს აძლევს, რადგან, ვისაც არ აქვს ჯანმრთელობის დაზღვევა, აშინებს ის რისკი, რასაც ჰქვია მძიმე დაავადება და გეგმიური ოპერაციები. გამომდინარე იქიდან, რომ ეს პროგრამა არ ფარავს ამას და მოიცავს მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებსა და ბაზისურ გამოკვლევებს, გამოდის, რომ 6-დან 60 წლამდე ადამიანები კვლავ საკუთარი ჯიბისა და ნათესავების იმედზე არიან, – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ასევე მიიჩნევს, რომ ამოქმედებული ჯანდაცვის პაკეტი სარგებელს ვერც სამედიცინო პერსონალსა და საავადმყოფოებს მოუტანს, ვინაიდან გაურკვეველია, რა ფორმით მოხდება მომსახურების ანაზღაურება. ჭიაბერაშვილი განმარტავს, რომ პაციენტი კლინიკის არჩევისას თავისუფალია, რაც სამედიცინო დაწესებულებებს შორის კონკურენციას გაამძაფრებს და, არ არის გამორიცხული, ამან პაციენტების რიცხვის ხელოვნურად ზრდა გამოიწვიოს.

– რას აძლევს სამედიცინო პერსონალსა და საავადმყოფოს ეს ყველაფერი? ჯერ გაურკვეველია ანაზღაურების ფორმა. მხოლოდ ვიცით ის, რომ ერთ პაციენტზე ანაზღაურდება 86 თეთრი, ლაბორატორიულ კვლევებზე – 25 თეთრი. საზოგადოებას არ აქვს დეტალური ინფორმაცია, ვინ რომელ კონკრეტულ კლინიკაში უნდა მივიდეს. ჯანდაცვის სამინისტრომ გვითხრა, სადაც გინდათ, იქ მიდითო. ასეთი მიდგომა სოფლისთვის უფროა მისაღები, სადაც ერთი ამბულატორიაა, მაგრამ ისეთ ქალაქში, როგორიც თბილისია, რთულია, პოლიკლინიკებს ერთმანეთთან კონკურენცია მოუწევთ, – ამბობს ჭიაბერაშვილი.

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ასევე მიიჩნევს, რომ ამოქმედებული ჯანდაცვის პაკეტი სარგებელს ვერც სამედიცინო პერსონალსა და საავადმყოფოებს მოუტანს, ვინაიდან გაურკვეველია, რა ფორმით მოხდება მომსახურების ანაზღაურება. ჭიაბერაშვილი განმარტავს, რომ პაციენტი კლინიკის არჩევისას თავისუფალია, რაც სამედიცინო დაწესებულებებს შორის კონკურენციას გაამძაფრებს და, არ არის გამორიცხული, ამან პაციენტების რიცხვის ხელოვნურად ზრდა გამოიწვიოს.

– ეს ფარავს ამას, – ეს ფარავს ამას, – ეს ფარავს ამას, –

როლის გაუმჯობესდება საქართველოში დემოგრაფიული ვითარება

მერი ნამორაძე

დემოგრაფიული აღორძინების ფონდმა, როგორც გაცხადდა, ოჯახებში მესამე შვილის გაჩენა უნდა წაახალისოს. რადგან ინიციატივა ხელისუფლებისგან წამოვიდა და დემოგრაფიულ პრობლემებზე ზრუნვა დაიწყო, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვითარების ცვლა სასიკეთოდ დაიწყება. თუმცა, ვითარების შეცვლას წლები და დიდი ფინანსები სჭირდება. „ახალი თაობა“ ფონდის პერსპექტივების თაობაზე დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე ავთანდილ სულაბერიძეს ესაუბრა.

– როგორ შეაფასებთ დემოგრაფიული აღორძინების ფონდის დაარსებას?

– მივესალმები ფონდის დაარსებას. ეს დიდი ხნის წინ უნდა შექმნილიყო, დაგვიანებულიც არის, მე თუ მკითხავთ. საქმე ის არის, რომ ეს არის არაკომერციული, არამომგებიანი ფონდი. მისი შევსება საზოგადოების წევრების მიერ უნდა მოხდეს – ბიზნესმენები იქნებიან, ბანკირები თუ ასე შემდეგ. ამდენად, მისი სახსრები ყველაფერს ვერ გასწვდება.

– ფონდი აქცენტს მესამე შვილის წახალისებაზე გააკეთებს. თუმცა, დემოგრაფები ამბობდით, რომ ხშირად მეორე შვილიც წასახალისებელია. სწორად არის გაკეთებული აქცენტი მესამე შვილზე?

– პრაქტიკულად, ეს უკავშირდება პატრიარქის მოწოდებას მესამე შვილთან დაკავშირებით. ადრეც ვამბობდი, რომ პატრიარქის ინიციატივას სჭირდებოდა მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან. პატრიარქის ნათლული რომ ცუდად ჩაცმული გაიკლის სოფელში ან მშიერი იქნება, გაუფასურდებოდა ეს. ვიცი, რომ ფონდის მიზანია ბავშვის ყოლის სტიმულირება. გეთანხმებით, რომ თუ პირველი და მეორე ბავშვი არ დაიბადა, მესამე თავისთავად არ იქნება, მით უმეტეს, ჩვენთან მესამე შვილი სურს ზოგს და მისი ყოლის გადავადება მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ხდება. ჩემი აზრით, ეს ფონდი მიეხმარება ამ ოჯახებს, დაძლიონ ეკონომიკური პრობლემები, რათა მოთხოვნილება მესამე ბავშვზე, რომელიც გადადებულია 3-4-5 წლით, აღარ გადაიდოს. საჭირო ახალგაზრდობაში ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ამაღლება, რაც პროპაგანდისტულ მუშაობას გულისხმობს. სარეკლამო ბანერებზე უნდა გამოიკრას, პატრიარქი რომ ნათლავს მესამე ბავშვს, მით უმეტეს, თუ ფონდის მიერ ამ მოთხოვნილების მატერიალიზება მოხდება (ბინათმშენებლობისას დახმარება, იაფი კრედიტის გაცემა და სხვა), ეს უნდა მოხდეს საბაზრო ეკონომიკის შესაბამისად. მწარმოებლურ და მომხმარებლურ ოჯახზე გადასვლას უნდა შეეწყოს ხელი. მესამე შვილი, განსაკუთრებით სოფლად, უნდა გახდეს შემოსავლის მიმტანი ოჯახისათვის.

– დეპოპულაცია ქვეყნის რომელ რეგიონებშია თვალშისაცემი?

– სამხრეთ საქართველოს გარდა ანუ ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთის გარდა, ყველგან დეპოპულაცია გვაქვს სხვადასხვა დონეზე. ყველაზე დეპოპულაციური რაიონი ჩრდილოეთ თიანეთის რაიონია, შედარებით ნაკლებია კახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთშიც მწვავედ დგას საკითხი, შემდეგ მოდის სამეგრელო, გურია. პირველად დეპოპულაცია აღინიშნა რაჭა-ლეჩხუმში გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, შემდეგ – იმერეთისა და გურიის მთიან სოფლებში. მაშინვე ვთქვით, რომ უნდა დაწყებულიყო აქტიური პოლიტიკა, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ მიაქცია ყურადღება.

– საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობაში თუ მიდის დეპოპულაციის პროცესი?

– არ არის დეპოპულაციის პროცესი, მაგრამ იქ სხვა პრობლემა გვაქვს ჩვილთა და დედათა მაღალი მოკვდაობის სახით ანუ ერთგან თუ დაბალი შობადობის პრობლემა გვაქვს, მეორეგან გვაქვს მაღალი მოკვდაობის პრობლემა. აქ უკვე პირველი-მეორე შვილის სტიმულაციაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფო პოლიტიკამ. მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა გატარდეს სახელმწიფო პოლიტიკა. მესამე შვილზე უკვე ფონდებმა უნდა გააკეთონ აქცენტი. ამავე დროს, ძალისხმევა უნდა წარვმართოთ ჩვილთა და დედათა მოკვდაობის შესამცირებლად.

– რამდენ ხანში შეიძლება ველოდოთ ეფექტს ფონდის გააქტიურების შემთხვევაში?

– ამის განსაზღვრა ძალიან რთულია. ყველაზე მეტი, ერთი თაობის შემდეგ მოხდება ეფექტი. არის კიდევ ხანმოკლე ეფექტი, როცა ბავშვთა რაოდენობა გაიზრდება. შეიძლება გამოჩნდეს ფონდის მუშაობა 3-5 წლის მანძილზე. ეფექტის ასეთ მაგალითს გეტყვით: 90-იან წლებში ძალიან შემცირდა შობადობა, მიგრაციის შედეგად ძალიან ბევრი ქალი წავიდა ქვეყნიდან. მიგრაციას რომ თავი დავანებოთ და შობადობის კოეფიციენტით ვიმსჯელოთ, ეს მაჩვენებელი გვიჩვენებდა, რომ 30-32%-ით ნაკლები იქნებოდა ქალთა რაოდენობა 20-25 წლის შემდეგ. ფაქტობრივად, დგება ეს პერიოდი. ჩვენ გვეყოლება 30-32%--თ ნაკლები ქალი დედის ასაკში ანუ უარყოფითი ეფექტია გამრავლების კუთხით. დღეს რომ პატრიარქის მოწოდებით იზრდება მესამე შვილის რაოდენობა, ამის ეფექტი იქნება 20-25 წლის შემდეგ. ახლა გვაქვს ქალთა ძალიან უარყოფითი სტრუქტურა საქორწინო ასაკის კუთხით, რეპროდუქციული ასაკის კუთხით, 32%-ით ნაკლებნი არიან 20-25 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით. შობადობას რა ზრდის? ან ქალთა მაღალი რაოდენობა, ან ბავშვზე ყოლის მოთხოვნილება. როცა ქალთა რაოდენობა მცირდება, უნდა მოხდეს ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ამაღლება. ამიტომ არის საჭირო ბილბორდებზე პატრიარქის მიერ ნათლობის სურათების გამოფენა, სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანა ისეთი ფორმულირების, რომ მოზარდებს მოთხოვნილება გაეზარდოთ. ეფექტი ყოველთვის არის – თუ შობადობის მხრივ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა, სოციალური, საოჯახო პოლიტიკის კუთხით ხდება. იმ ოჯახს ექნება ისეთი ბინა და საარსებო საშუალება, რომ ბავშვი ნორმალურად გაზარდოს. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია ჩვილთა, დედათა მოკვდაობის შემცირებასთან.

– თუ გახსოვთ, საქართველოში გასული საუკუნის რომელ წლებში იყო მესამე შვილის აუცილებლობაზე აქცენტი გაკეთებული, ოჯახებში კი მასობრივად გაზრდილი მესამე შვილზე მოთხოვნილება?

– გურამ ფანჯიკიძის მოწოდება იყო 80-იანი წლების დასაწყისში. მაშინ მატება, სპეციალური კომიტეტების გაანგარიშებით, მიიჩნიოდა მე-6 შვილიდან. ეს არარეალური და დამაბნეველი იყო მოსახლეობისათვის, ამ დროს გურამ ფანჯიკიძემ გამოაქვეყნა გაზეთ „კომუნისტში“ „საქართველოს უკვდავება“, სადაც ხაზი გაუსვა, რომ მესამე და მეოთხე შვილზე უნდა გაკეთდეს აქცენტი. საერთოდ, 35% უნდა იყოს მესამე და შემდგომი ბავშვების ხვედრითი წილი დაბადებულებში, რომ მოხდეს თაობათა აღწარმოება. ახლა, როცა 15%-ს მიაღწია მესამე შვილის ხვედრითმა წილმა საერთო დაბადებულებში, ოდნავ ამოვისუნთქეთ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მივაღწიეთ მარტივი აღწარმოების დონეს ანუ თაობა რა რაოდენობითაც იყო, იმავეს მიუახლოვდება. მნიშვნელოვანი პრობლემაა კიდევ საეკლესიო ქორწინების აღიარება ოფიციალურად სამოქალაქო რეგისტრაციის დონეზე.

ირაკლი ღარიბაშვილმა თანამშრომელ ქალებს 8 მარტი პირადად მიულოცა

შინაგან საქმეთა სამინისტროში წელს, ქალთა საერთაშორისო დღე – 8 მარტი პირველად აღინიშნა. მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამინისტროს თანამშრომელ ქალბატონებს დღესასწაული პირადად მიულოცა და განსაკუთრებული დამსახურებისათვის დააჯილდოვა. მინისტრის გადაწყვეტილებით, სამინისტროში 8 მარტის აღნიშვნა ტრადიციად დამკვიდრდება.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა მილოცვისას, ქალების განსაკუთრებულ როლს სამინისტროს ყოველდღიურ, წარმატებულ საქმიანობაში – ხაზი გაუსვა და განაცხადა, რომ მომავალი ორი წლის განმავლობაში სამინისტროში მომუშავე ქალბატონების რიცხვი 12-დან 20 პროცენტამდე გაიზრდება. მინისტრმა ასევე ისაუბრა ქალი-სამართალდამცველების მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის შესახებ ისეთი დანაშაულების გახსნისას, როგორიცაა ტრეფიკინგთან ბრძოლა, არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები, ოჯახური კონფლიქტების მოგვარება და სხვა.

ირაკლი ღარიბაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ოპერატიული დანაყოფის 47 თანამშრომელ ქალბატონს მედალი – „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის,“ პირადად გადასცა. ქალბატონებს ასევე თაიგულები და სხვა საჩუქრები გადაეცათ.

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟებმა, მძღოლ ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს და ყვავილების თაიგულები მიართვეს.

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა.

ნიუსპრესი

„საქართველოს გზა“ გათავისუფლებული ექიმების სამსახურებში აღდგენას მოითხოვს

პარტია „საქართველოს გზის“ ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა ბალიაშვილი, თბილისის სასწრაფო სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელისაგან, გათავისუფლებული ექიმების სამსახურებში სასწრაფოდ დაბრუნებას მოითხოვს.

„მომავალ კვირაში ჩავატარებთ ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისელები“-ს სხდომას თბილისის საკრებულოში, სადაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელობას, თბილისის კლინიკის ხელმძღვანელებს და ექიმთა პროფკავშირის წარმომადგენლებს მოვიწვევთ, რათა დეტალურად გავეცნოთ იმ პროგრამებს რაც ახალი ხელმძღვანელის მოსვლის შემდეგ განხორციელდა, რა პრობლემები რჩება და რა ხედვა აქვს მათ მოსაგვარებლად ბატონ კახა ჩიხრაძეს და თბილისის მერიას.

კატეგორიულად მოვითხოვ კახა ჩიხრაძისაგან, დაუყოვნებლივ აღადგინოს თავის პოზიციებში ყველა ის გათავისუფლებული ექიმი, რომელთა გათავისუფლების მცდელობა სულ რამდენიმე დღის წინათაც ჰქონდა და უკან დაიხია, ხოლო გადაწყვეტილება აფექტით ახსნა“ – განაცხადა ბალიაშვილმა.

მისივე განცხადებით, დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს ის პრობლემა, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა გამოძახების ადგილებზე საათი და საათნახევრის დაგვიანებით მიდის.

ნიუსპრესი

ზაზა გაბუნია სასწრაფო დახმარების ცენტრის მოშიმშილე თანამშრომლებს შეხვდა

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია, დღეს, სასწრაფო სამედიცინო დახმების ცენტრის მოშიმშილე თანამშრომლებს შეხვდა.

გაბუნიას განცხადებით, ექიმები სამსახურიდან უკანონოდ არიან გათავისუფლებული. მისივე თქმით, შემდეგ კვირაში ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გაფართოებული სხდომა გაიმართება, სადაც მერიის პასუხისმგებელ ჩინოსნებს და სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ცენტრის ხელმძღვანელობას მოუსმენენ.

„მე დღეს მოვინახულე ექიმები, რომელნიც განსხვავებული აზრის გამო, სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელობის უკანონო გადაწყვეტლებას შეეწირნენ. მათ მიმართეს პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას, რადგან დაირღვა და უგულებელყოფილი იქნა მათი უფლებები და ინტერესები“– განაცხადა გაბუნიამ.

ნიუსპრესი

გიგი უგულავა თომას ჰამერბერგს შეხვდა

თბილისის მერი გიგი უგულავა, დღეს ევროკავშირის მრჩეველს ადამიანის უფლებების საკითხებში – თომას ჰამარბერგს შეხვდა.

მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე გიგი უგულავამ და თომას ჰამარბერგმა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ისაუბრეს.

„მნიშვნელოვანია ჰამერბერგს ჰქონდეს სრულფასოვანი ინფორმაცია, იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც დღეს მთელი საქართველოს მასშტაბით თვითმმართველობებს აქვთ. დაახლოებით ორმოცდაათზე მეტ თვითმმართველობაში პირდაპირი წესით, ეგზეკუცია, ჩანაცვლება, ხალხის ძალადობრივი გადაბირება და გამგებლების შეცვლა მოხდა. ანალოგიური პროცესი სამწუხაროდ, თბილისის საკრებულოშიც მიმდინარეობს. პრაქტიკულად არ დარჩა საკრებულოს ნაციონალური მოძრაობის წევრი, რომელიც რამდენჯერმე არ იყო დაკითხვაზე დაბარებული. ზეწოლა ხორციელდება ყველა მიმართულებით. მინდა ავღნიშნო, რომ თუ არსებობს ლეგიტიმური შეკითხვები, ჩვენ მზად ვართ თითოეულ მათგანზე გავცეთ პასუხი, მაგრამ ბუნებრივია ის ფორმა რა ფორმითაც ეს ყველაფერი ხორციელდება ბადებს ეჭვს, რომ ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური რეპრესიები, განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების მქონე სუბიექტების მიმართ“ – განაცხადა გიგი უგულავამ.

მისივე თქმით, ეს საერთაშორისო საზოგადოებას კარგად ესმის და ქვეყნის რეპუტაცია და იმიჯი ილახება.

თომას ჰამარბერგის ვიზიტის მიზანი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაცნობა და რეკომენდაციების შემუშავებაა. აღნიშნული მისიის ფარგლებში შეხვედრები ოთხი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

ნიუსპრესი

ირაკლი ალასანიამ სომხეთის პრეზიდენტთან შეხვედრა გამართა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის, სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია სომეხ კოლეგას სეირან ოჰანიანს და სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სერჟ სარგსიანს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, პირისპირ შეხვედრაზე მინისტრებმა თავდაცვის სფეროში ორმხრივ თანამშრომლობაზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. მხარეებმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებიც განიხილეს. განისაზღვრა საქართველოსა და სომხეთის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის პრიორიტეტები – სამხედრო განათლება და საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის გამოცდილების გაზიარება.

სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში გაიმართა ასევე გაფართოებული შეხვედრა, რომელსაც სომხეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის წევრები დაესწრნენ. შეხვედრების დასრულების შემდეგ, სომხეთისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

„პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი პირველი ვიზიტი სწორედ სომხეთში შედგა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ორი სახელმწიფოს ურთიერთობა ვითარდება და კიდევ უფრო გაღრმავდება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ურთიერთობა ყველა სფეროს მოიცავს. რეგიონალურ უსაფრთხოებაზე პირველ რიგში რეგიონის ქვეყნებმა უნდა იზრუნონ. ამიტომაც ჩვენს ურთიერთობას, ღრმა შინაარსიან და ნინდახედულ სამომავლო უსაფრთხოების სტრატეგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს“ – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

რაც შეეხება სომხეთის პრეზიდენტისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის შეხვედრის მთავარ თემას, ეს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავება იყო. ირაკლი ალასანიამ პრეზიდენტ სერჟ სარგსიანს თავდაცვის მინისტრთან შეხვედრის შედეგები და სამომავლო გეგმები გააცნო.

ნიუსპრესი

მოზარდ მაყურებელთა თეატრი ახალ ცხოვრებას იწყებს

ეკა ირემაშვილი

ორი თვეა რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი მოზარდ მაყურებელთა თეატრის მმართველად დაინიშნა. ამ თეატრთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში ბევრი ხმაური ატყდა, თუმცა ახალმა მმართველმა შეძლო და სიტუაცია ასე თუ ისე დაარეგულირა. რა სიახლეები აქვს ახალ მმართველს, ამ თემაზე „ახალი თაობა“ დიმიტრი ხვთისიაშვილს ესაუბრა. ჩვენი საუბარი კი რეჟისორის ლონდონში გამგზავრებამდე შედგა.

დიმიტრი ხვთისიაშვილი:

– ორი თვეა, რაც ამ თანამდებობაზე ვარ, თუ ამას საერთოდ თანამდებობა ჰქვია. ერთადერთი მიზანია, რომ ეს თეატრი ჩაეწეროს ქართულ თეატრალურ სივრცეში. არ მინდა წარსულზე ლაპარაკი, ამიტომ შემიძლია მხოლოდ სამომავლო გეგმებზე ვისაუბროთ.

– რისი გაკეთება მოასწარით ამ ორ თვეში?

– ამ ორ თვეში გამოვუშვით ოთხი პრემიერა. მარტში კიდევ ერთი პრემიერა იგეგმება, ეს არის „ბარონი მიუნჰაუზენი“, რომელიც იქნება უკვე დადგმული წარმოდგენის ახალი ვერსია. მთავარ გმირს ითამაშებს ბესო მეგრელიშვილი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტიორული ძალა ჩვენი თეატრისთვის და სპექტაკლს დადგამს ლიკა მაცხონაშვილი. აპრილი მთლიანად გვექნება დატვირთული ქართული რეპერტუარით. ოთხი სპექტაკლის პრემიერას ვგეგმავთ – სამს დიდ დარბაზში და ერთს მცირე დარბაზში, თებერვალში პირქით გვქონდა. 5 აპრილს ვითამაშებთ „კუკარაჩას“ პრემიერას, განახლებული დადგმა იქნება, შალვა გაწერელიას ვერსიის და მასზე ოთარ ბაღათურია მუშაობს. 5 აპრილს არის შალვა გაწერელიას წლისთავი და მის ხსოვნას მივუძღვნით. 20 აპრილისთვის ვითამაშებთ „ირინეს ბედნიერებას“, ამ სპექტაკლზე მე ვიმუშავებ, აპრილის ბოლოს გოგა ქაჩიბაია წარმოადგენს გაგა ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქას“, მცირე სცენაზე კი მუშა სათაურით „მონატრება“ კოტე მირიანაშვილი განახორციელებს რუსულ დასთან ერთად ნოდარ დუმბაძის ნოველებს. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები ჩვენს თეატრში დაიდგმება როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენებზე. ეს სპექტაკლები უკვე გადაწყვეტილია, მაისიდან კი ჩვენთან შემოვა სრულიად ახალი რეპერტუარი, რომლის პრეზენტაციაც მოხდება შემდეგ თეატრალურ სეზონში. მედეა კუჭუხიძე დადგამს ჰოფმანის ზღაპრის მიხედვით სპექტაკლს „პატარძლის ამორჩევა“. ლინდგრენის მიხედვით „ემილის თავგადასავალს“ დადგამს ლევან ქობლიანიძე, შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ დადგამს ლევან წულაძე და „ზამთრის ზღაპარს“ - შექსპირის ბოლო პერიოდის რომანტიკულ პიესას დათა თავაძე. ეს პიესა საქართველოში ჯერ არ დადგმულა და პირველად დაიდგმება ჩვენს თეატრში. სპექტაკლის მხატვარია მურაზ მურვანიძე. როგორც კი ოთარ ბაღათურია დაასრულებს „კუკარაჩას“ აღდგენას, ის შეუდგება სპექტაკლს „იავნანამ რა ჰქმნა?!“ მედეა კუჭუხიძის სპექტაკლს ამ სეზონზე მოვასწრებთ და დავხურავთ სეზონს. დანარჩენი სპექტაკლებით გავხსნით მორიგ თეატრალურ სეზონს. მთლიანობაში 14 ახალი სპექტაკლი გამოგვივა. ზოგი სულ ახალი იქნება, ზოგი ახლებურად აღდგენილი ძველი სპექტაკლი. „სათაგური“ ოთარ ბაღათურიას ამ თეატრში ჰქონდა დადგმული და თამაშობდნენ 2008 წლამდე, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ მან დადგა ახლებურად და მიმაჩნია, რომ ამ სპექტაკლის პრემიერაა, რადგან მასში ჩასმულია „ამოდის ნათდება“ და ვაჟას სხვა პატარ-პატარა ნაწარმოებები. მთლიანობაში ეს სპექტაკლის სრულიად ახალი ვერსიაა. რაც შეეხება ბარონ მიუნჰაუზენს, როდესაც მთავარი გმირის შემსრულებელი იცვლება, სტრუქტურულად იცვლება სპექტაკლი, იმიტომ, რომ წარმოდგენა მთლიანად მთავარ გმირზეა აგებული. ამ გმირს თამაშობდა აკაკი ხიდაშელი, ახლა მას ბესო მეგრელიშვილი შეცვლის. რაც შეეხება „კუკარაჩას“, მასში ყველა მსახიობი ახალი არ არის, ძველებიც თამაშობენ, მაგრამ გვინდა კუკარაჩა პრინციპულად გავიმეოროთ ზუსტად ისე, როგორც ჰქონდა ბატონ შალვას. შემომატება არის ძალიან საინტერესო. კუკარაჩა თუ არიან უცნობი მსახიობები ნიკუშა კვანტალიანი და შალვა ანთელავა, ინგას და მურტალოს ძალიან პოპულარული ადამიანები თამაშობენ. ინგას ასრულებს ნინო ლეჟავა და ლელა მებურიშვილი, ლელა ამ როლით შემოვა ჩვენი თეატრის კოლექტივში. მურტალო არიან – კოტე თოლორდავა და ვახო ჩაჩანიძე. ვახოც ამ როლით შემოვა ჩვენს თეატრში.

– თქვენ რატომ გადაწყვიტეთ „ირინეს ბედნიერებას“ დადგმა?

– „ირინეს ბედნიერების“ დადგმაც ერთგვარად ბატონი შალვას გარშემო ტრიალია. ეს იყო მისი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი. მინდა ცოტა სხვა თვალით შევხედო ამ პიესას, რომელიც ძალიან მიყვარს. „ირინეს ბედნიერება“ 2011-12 წლების სეზონში დავდგი რუსთავის თეატრში. როდესაც პრემიერა გამოვიდა, რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა ბატონი შალვა. აფიშაზე მოვასწარი და მივაწერე, რომ ეძღვნებოდა მის ხსოვნას. ამ სპექტაკლში მთავარ როლს თამაშობდა დათო ხახიძე. როცა დადგა საკითხი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა, თან რუსთავის თეატრში ახალი ხელმძღვანელი მივიდა და შემომთავაზა ერთ თეატრში მაქსიმალური ვადა 10 წელიაო და სწორია, მერე ცოტა გვერდიდან უნდა შეხედო ამ ყველაფერს, უნდა დაიწყო ნულიდან, რომ შენით განვითარდე. ჩვენ გვაქვს მუდმივმოქმედი დასის ტრადიცია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსახიობს, რომელსაც მიიღებენ 21 წლის ასაკში, სიცოცხლის ბოლომდე აუცილებლად იმ დასის წევრი უნდა იყოს. თუ თეატრს იმ კონკრეტულ შემთხვევაში მსახიობი არ სჭირდება, უნდა იყოს ბაზარი ძალიან ფართო სპექტრის და უნდა შეიძლებოდეს საუკეთესოს შორის საუკეთესოს არჩევა.

– იმ მსახიობებს რა ბედი ეწიათ, რომლებიც წინა ხელმძღვანელობამ გაუშვა?

– ამ თეატრს ჰყავდა პოლიტიკურად გაგდებული მსახიობთა უზარმაზარი ბირთვი. იძულებული ვიყავი, რომ ისინი უპირობოდ დამებრუნებინა, მაგრამ ეს სახელმწიფო ბიუჯეტს ხომ არ გამიზრდის? რეალურად მთელი დასი ნახევარ განაკვეთზეა გადასული, დღეს იმის ნაცვლად, რომ დასში მყავდეს 80 მსახიობი, რომელიც ასევე მგონია, რომ ბევრია, მაგრამ ამ წუთას საშტატო განრიგით ამდენი მსახიობია, ეს ის შემთხვევაა, როცა ამ წუთას მაწყობს 80 მსახიობი, შეიძლება ეს რიცხვი მომავალში შეიცვალოს. ახლა მყავს 117 მსახიობი დასის და 30-მდე მოწვეული მსახიობი სხვადასხვა სპექტაკლებისთვის. ეს მთელი სამი თეატრია. გასაგებია, რომ ეს შენობა სამ თეატრს იტევს – ქართულ მოზარდს, რუსულ მოზარდს და რუსულ თოჯინებს, მაგრამ ამდენი მსახიობი მაინც არ არის საჭირო. ობიექტურობა რომ დამეცვა, ყველას გავუფორმე კონტრაქტი 6 თვით, მაგრამ მაისის შუა რიცხვებში გამოცხადდება შესარჩევი კონკურსი, სადაც იქნება კონკრეტული პირობები. ამავე დროს გამოიკვრება იმ 60-65 ადამიანის გვარი, რომლებიც უპირობოდ მომავალ სეზონში იმუშავებენ თეატრში და დანარჩენ ადგილებზე მსახიობებს მოუწევთ კონკურსის გავლა. მასში მონაწილეობას მიიღებს როგორც დარჩენილი მეორე 60 კაცი, ასევე ნებისმიერი სამსახიობო დამთავრებული ადამიანი, რომელიც ამ წუთას ეძებს სამსახურს. შეიძლება ქუჩაში ბევრად უფრო ნიჭიერი კადრები დადიოდნენ, ვიდრე არიან დასში, რა ვქნა ასეთ შემთხვევაში? ეს ძალიან მტკივნეულია, როცა კონკრეტულ ადამიანებს ეხებათ, მაგრამ მოდით შევთანხმდეთ, რომ ჩვენ უნდა გადავარჩინოთ თეატრი, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ თეატრალურ სივრცეში. ბევრი ახალი სახე გვყავს თეატრში – „ჩაგავლეთში“ იყო ვანიკო დუგლაძის დებიუტი, ჩვენთან არის ნატო გაგნიძე, თამუნა ტყემალაძე და საინტერესო ახალგაზრდა მსახიობები თაკო ჭანუყვაძე და მარიამ ჩუხრუკიძე, გიორგი შავგულიძე, რატი გოგუაძე და გაგა შიშნიაშვილი. ეს არის ათკაციანი ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც შევარჩიე კოლექტივში შემოსასვლელად სიახლის სახით. არ გამოვრიცხავ, რომ ამ ათკაციან ჯგუფში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დაექვემდებარებიან კასტინგს, გააჩნია, როგორ ჩაწერებიან ისინი ამ თეატრის რეპერტუარში.

– ბევრი მსახიობი ამბობს, რომ მას არ სჭირდება არანაირი კასტინგი. ეს შეურაცხმყოფელია?

– ნამდვილად არა. ჩემთვის გაუგებარია იმ მსახიობთა მოსაზრება, რომელიც ამბობს, რა კასტინგი მინდა მე, თუ არ მოვხვდები იმ 60 კაცში, დავტოვებ თეატრსო. ეს უფრო შიში მგონია, საკუთარი შესაძლებლობისადმი ურწმუნოება და მეტი არაფერი. კასტინგი თუ უნდა ჰოფმანს და დენიროს ყოველ ახალ ნამუშევარზე, რატომ არ უნდა თუნდაც 5 და 10 წლის ინსტიტუტ დამთავრებულს ან სტაჟის მქონეს? დღეს რა რეპერტუარშიც არიან, შემიძლია პირდაპირ გავუშვა, მაგრამ ვაძლევ შანსს, რომ გაიარონ კასტინგი. 5 ადამიანი იქნება თეატრიდან, მათ შორის მთავარი მხატვარი, თეატრმცოდნეები, ოთარ ბაღათურია და მე და ასეთივე პრინციპით მინდა 5 ადამიანი იყოს გარედან 2 რეჟისორი, 2 თეატრმცოდნე და 1 მხატვარი, მთლიანად ათკაციანი იქნება ჯგუფი. ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას მივიღებ მხოლოდ მაშინ, თუ ხმები გაიყოფა. 6 ხმას ვინც დააგროვებს, ის დარჩება თეატრში. თუნდაც აღმოვჩნდე უმცირესობაში და მინდოდეს რომელიმეს დატოვება, თუ ვერ აიღო 4 ხმაზე მეტი, ის ვერ დარჩება თეატრში.

– სხვა თეატრებში თუ დადგამთ სპექტაკლს?

– ამ წუთასაც მაქვს დაწყებული ბრეხტის პიესის დადგმა მარჯანიშვილის თეატრში, მაგრამ დროებით მომიწია გაჩერება. ვალდებულება აღებული მაქვს და აუცილებლად შევასრულებ. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა რაც მგონია, რომ ამ თეატრს ჰქონდა, ვაკუუმში აღმოჩნდნენ, ჩაიკეტნენ და ქართულ თეატრალურ სივრცეში არ იყვნენ ჩაბმულები. ამიტომ მინდა, რაც შეიძლება მეტი გარედან მოსული რეჟისორი დგამდეს სპექტაკლებს, თუ ამას ფინანსურად გავუძელით. პრინციპულად შეთანხმებულები ვართ იმაზე, რომ სექტემბერ-ოქტომბერში, სპექტაკლს დადგამს გიზო ჟორდანია, მაგრამ რას დადგამს, ჯერ ჩამოყალიბებულები არ ვართ. არ ვიცი სერიოზულად მითხრა თუ ხუმრობით, მაგრამ დავდგამ წითელქუდასო. მახსოვს შალვა გაწერელიას არაჩვეულებრივი წითელქუდა და რეზო თავართქილაძე მგლის როლში. საოცნებოთა სამყაროდან გვაქვს თემურ ჩხეიძის თემა, რომელმაც ამ თეატრში დაიწყო თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა, მან დადგა აქ სხვადასხვა სპექტაკლები, ასე რომ, მისთვის უცხო არ არის ეს გარემო და მის რამდენიმე სატელევიზიო სპექტაკლში ამ თეატრის მსახიობები მონაწილეობდნენ. ბატონ თემურთან ფიზიკურად ვერ მოვახერხე შეხვედრა, იმიტომ, რომ ამ წუთასაც პეტერბურგშია, ჩამოვა მარტის ბოლოს და აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს, მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე დგამს სპექტაკლს და მჯერა, რომ ჩვენს თეატრშიც მოვა. იმ თაობის რეჟისორების შემოსვლა ამ თეატრში ერთგვარი სკოლაა ჩვენი დასისთვის. მინდა იყოს პრაქტიკა ბატონ რობერტთან დაკავშირებით. ის კონსულტაციას უწევდა რუსთავის და ბათუმის თეატრებს, მაგრამ მას საქართველოში რუსთაველის თეატრის გარდა, სპექტაკლი არსად დაუდგამს. სტურუას „სალამურა“ აქვს დადგმული და მისთვის უცხო არ არის საბავშვო სპექტაკლების დადგმა. ის ამ წუთას იმხელა მონსტრის, როგორიც არის რუსთაველის თეატრი, მმართველია და თუკი მოუხერხდება, მისთვის ჩვენი თეატრის კარი ღიაა. უკვე აღიარებული რეჟისორებისთვის ჩვენს თეატრში სპექტაკლის დადგმის პრობლემა არ არის, ისევე, როგორც პრობლემა არ ჰქონია ბესო კუპრეიშვილს, რადგან ის თავისი დარგის დიდოსტატია და „მზის სხივმაც“ დაადასტურა ეს. არც ერთი რეჟისორისთვის ამ თეატრის კარი დახურული არ არის.

– ახალბედა რეჟისორებისთვის?

– უამრავი ახალგაზრდა რეჟისორი მოვიდა, იყო სოსო ბაკურაძე, მაია შენგელია, ლიკა მაცხონაშვილი, ხათუნა მილორავა, ლევან ქობლიანიძე და დათა თავაძე ჩვენშვილი, გიო ქანთარიას თემა გვაქვს. ნუკრი ქანთარიას ორ სტუდენტს ვასწავლი, მათ შევთავაზე, რომ შეუძლიათ სპექტაკლები დადგან მცირე ან ექსპერიმენტულ სცენაზე. ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი სცენა, რომელიც ჯერ არ არის გაპიარებული. ის სექტემბრიდან ჩაერთვება აქტიურ თეატრალურ ცხოვრებაში. მას ერქმევა საღამოს თეატრი, სადაც ჩვენულებრივი მაყურებლისთვის იქნება სპექტაკლები წარმოდგენილი. ეს მნიშვნელოვანია მსახიობებისთვის, ისინი მხოლოდ საბავშვო სპექტაკლებში არ მიიღებენ მონაწილეობას, როგორც თეატრალური სარდაფი, თავისუფალი თეატრი, ასეთი პრინციპის თეატრი იქნება, სადაც ნამდვილად არ ვაპირებ განვსაზღვრო სარეპერტუარო პოლიტიკა. სპექტაკლი იქნება თავისი სახელით, რეჟისორით, ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით პიარი გავუკეთოთ სპექტაკლებს, მოვეხმაროთ რეჟისორს გაყიდვაში, მაგრამ ეს იქნება სალაროზე დამოკიდებული თეატრი, სპექტაკლი იცოცხლებს მანამ, სანამ ეყოლება მაყურებელი და მოიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა არ ეყოლება მაყურებელი. არ ვაპირებ ჩავერიო არც რეპერტუარის და არც რეჟისორების შერჩევაში, ვეცდები, ორგანიზება გავუკეთო, რომ რეჟისორები ერთმანეთს არ დაეჯახონ და ყველა მსურველს იქ სპექტაკლის დადგმის საშუალება ექნება, რა თქმა უნდა, ფინანსების მოძიების შედეგად, იმიტომ, ვერ გავთვლით ბიუჯეტში, რომ მესამე სცენა ავამუშავოთ. იმ სცენაზე ნებისმიერი პროექტის განხორციელებაა შესაძლებელი. ძალიან საინტერესო სივრცეა – თეატრი მეექვსე სართულზე. ჩემს წინა მმართველობის დროს ფუნქციონირებდა, სააბონენტო პრინციპზეც. არატრადიციული თეატრალური სივრცეა, როგორ გინდა, ისე შეგიძლია დასვა მაყურებელი, შუშებშია ფოიე და გადაჰყურებს მთელ ქალაქს. ყველაფერია მოწყობილი, გარდერობი, საგრიმიორო, გარედან ასასვლელი კიბეც კი აქვთ მსახიობებს. მთავარია, გვაქვს მხარდაჭერა, როგორც კულტურის სამინისტროსი, ასევე მერიის, მაგრამ თუკი მათი დახმარება ფინანსურ დახმარებაში გამოიხატება, კარგი იქნება. ჩვენ ვართ რიგით მესამე თეატრი დაფინანსების სიდიდით, ირკვევა, რომ საბავშვო თეატრს კიდევ უფრო მეტი ფინანსები სჭირდება. ელემენტარულ რამეს გეტყვით, შენობა ეკონომიკური სამინისტროს ბალანსზეა, არადა, უამრავი მსურველია, რომ გაიხსნას ლიტკაფე, სადაც საბავშვო ლიტერატურა გაიყიდება, მშობელი, რომელიც ელოდება ბავშვს სპექტაკლზე, ყავას დალევს, წიგნს იყიდის. წინა ფასადზეც გვაქვს უამრავი სეგმენტი, რომ ფართები გაქირავდეს, ეს კი თეატრს დამატებით შემოსავალს მოუტანს, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს მესამე პირთან ხელშეკრულების გაფორმების უფლება. ეს საკითხი რომ მოვაგვაროთ, ჩვენი ბიუჯეტი ვერ გაუძლებს. თუკი დამატებითი შემოსავალი არ გვექნება, იძულებული ვიქნებით, აბონიმენტის ფასი გავზარდოთ, რაც მშობლის ჯიბეს ურტყავს, ამან შეიძლება მაყურებლის დაკარგვა გამოიწვიოს, ეს კი ნამდვილად არ გვინდა.

– ბატონო დიმა, თითქმის ყველა თეატრის წინ იხსნება ღვაწლმოსილი მსახიობების ვარსკვლავები. თქვენს თეატრს ეს არ ეხება?

– ეხება. მიუხედავად იმისა, მომწონს თუ არ მომწონს ეს ვარსკვლავომანია, ჩვენც უნდა ავყვეთ ამ ფერხულს, რადგან თეატრის დასში არის რამდენიმე მსახიობი, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდა. ერთ-ერთი უპირველესი გახლავთ ბატონი რეზო თავართქილაძე. მისი ვარსკვლავით დაიწყება ჩვენი თეატრის წინ ვარსკვლავური ალეა. ის იქნება პირველი მერცხალი. 85 წლის ლადო მექვაბიშვილი ისევე როგორც 85-86 წლების სეზონში „კუკარაჩას“ პირველ სპექტაკლში ბაბაიანცის როლს 5 აპრილსაც ითამაშებს. მაისში გაიხსნება ბატონი ლადოს ვარსკვლავი და ასევე ბერტა ხაფავას და ოთარ ბაღათურიას ვარსკვლავები.

მაჯჩნაკლული ინგლისი და რურის დერბი გერმანიაში

ინგლისი

09.03 ქარ-სანდერლენდი	2.3	3.2	3.2
09.03 ნორვიჩი-საუთჰემპტონი	2.37	3.4	2.9
09.03 რედინგი-ასტონ ვილა	2.37	3.4	2.9
09.03 ვესტ ბრომვიჩი-სუონსი	2.3	3.3	3.1
10.03 ნიუკასლი-სტოკი	1.85	3.4	4.4
10.03 ლივერპული-ტოტენჰემი	1.85	3.75	4.0

ქარ-სანდერლენდი

ქარ: ***ტრავმ***-ულიო სეზარი, ბობი ზამორა, ანდრიუ ჯონსონი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-მეტიუ კილგალონი, ლი კატერმოლი, დანი როუზი, ვესლი ბრაუნი

ნორვიჩი-საუთჰემპტონი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ენდრიუ სურმანი, ალექსანდერ ტეტეი, ჯონ რუდი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-დანი ფოქსი, ადამ ლალანა

რედინგი-ასტონ ვილა

რედინგი: ***ტრავმ***-ჯიმი კებე, ადამ ფედერიკი, ჯეისონ რობერტსი, ალექს მაკკარტნი; ***დისკვ***-პაველ პოგრებნიაკი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-დარენ ბენტი, რონი ვლაარი, მარკ ოლბრაიტნი, გარი გარდნერი

ვესტ ბრომვიჩი-სუონსი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-შონ ლონგი, კრის ბრანტი, ზოლტან გერა; ***დისკვ***-გორან პოპოვი

სუონსი: ***ტრავმ***-ჩიკო ფლორესი, ნეილ ტეილორი

ნიუკასლი-სტოკი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-პაპის სისე, ფაბრიციო კოლოჩინი, სტივ ჰარპერი, ტიმ კრული, რაიან ტეილორი

სტოკი: ***ტრავმ***-მეტიუ ეტერინტონი, მაიკლ ოუენი; ***დისკვ***-რობერტ ჰატი

ლივერპული-ტოტენჰემი

ლივერპული: ***ტრავმ***-დანიელ სტარიჯი, ფაბიო ბორინი, ბრედ ჯონსი, მარტინ კელი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-აარონ ლენონი, ემანუელ ადებაიორი, კლინტ დემპსი, ტომ ჰადლისტაუნი, სანდრო

სატურნირო ცხრილი:

1.მანჩესტერი	28	23	2	3	68:31	71
2.სიტი	28	17	8	3	51:24	59
3.ტოტენჰემი	28	16	6	6	49:33	54
4.ჩელსი	28	15	7	6	56:30	52
5.არსენალი	28	13	8	7	53:32	47
6.ევერტონი	28	11	12	5	44:35	45
7.ლივერპული	28	11	9	8	53:34	42
8.ვესტ ბრომვიჩი	28	12	4	12	38:37	40
9.სუონსი	28	10	10	8	39:34	40
10.ფულემი	28	8	9	11	39:44	33
11.სტოკი	28	7	12	9	26:33	33
12.ვესტ ჰემი	28	9	6	13	32:41	33
13.ნორვიჩი	28	7	11	10	27:45	32
14.სანდერლენდი	28	7	9	12	31:38	30
15.ნიუკასლი	28	8	6	14	38:49	30
16.საუთჰემპტონი	28	6	9	13	39:51	27
17.უიგანი	28	6	6	16	33:55	24
18.ასტონ ვილა	28	5	9	14	26:53	24
19.რედინგი	28	5	8	15	34:54	23
20.ქარ	28	3	11	14	21:44	20

ესპანეთი

09.03 რაიო-ესპანიოლი	1.95	3.4	4.0
09.03 ვალიადოლიდი-მალაგა	2.4	3.2	3.0
09.03 ბარსელონა-დეპორტივო	1.12	8.5	17.0
09.03 მალიორკა-სევილია	3.2	3.3	2.25
10.03 ბილბაო-ვალენსია	2.62	3.3	2.62
10.03 ლევანტე-ხეტაფე	2.1	3.3	3.6
10.03 სელტა-რეალი	6.5	4.5	1.44
10.03 ატლეტიკო-სოსიედადი	1.5	4.0	7.0
11.03 სარაგოსა-გრანადა	2.05	3.3	3.75

რაიო-ესპანიოლი

რაიო: ***ტრავმ***-როდრი, მიკელ ლაბაკა; ***დისკვ***-ხორდი ამატი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-რაულ ბაენა

ვალიადოლიდი-მალაგა

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-მარკ ვალიენტე, პატრიკ ებერტი, ვიქტორ პერესი

მალაგა: ***ტრავმ***-ფრანსისკო პორტილიო, ჟულიო ბაპტისტა, ელისეუ; ***დისკვ***-ჯერემი ტულანანი

ბარსელონა-დეპორტივო

ბარსელონა: ***ტრავმ***-ხავი; ***დისკვ***-ვიქტორ ვალდესი

დეპორტივო: ***ტრავმ***-ზე კასტრო, რიკი, კაკა; ***დისკვ***-კარლოს მარჩენა

მალიორკა-სევილია

მალიორკა: ***ტრავმ***-ანტონიო ლუნა, პედრო ჯერომელი, ალვარო, ანტონიო ლოპესი, ხავიერ არიზმენდი; ***დისკვ***-პერეირა

სევილია: ***ტრავმ***-კამპანა, დიეგო პეროტი, პიოტრ ტროხოვსკი

ბილბაო-ვალენსია

ბილბაო: ***ტრავმ***-რუიზ დე გალარეტა, კარლოს გუპრეგი, ინიგო პერესი; ***დისკვ***-ანდერ ერერა

ვალენსია: ***ტრავმ***-ჟოაო პერეირა, რიკარდო კოსტა, ადილ რამი; ***დისკვ***-ანდრეს გუარდადო

ლევანტე-ხეტაფე

ლევანტე: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ხოსე ბაკერო

ხეტაფე: ***ტრავმ***-მანე, ლაფიტა, ხუან როდრიგესი, ვალერა; ***დისკვ***-პედრო ლეონი, ბირხა

სელტა-ხეალი

სელტა: ***ტრავმ***-რობერტო ლაგო, უგო მალო, სამუელ ლორკა

რეალი: ***ტრავმ***-ანხელ დი მარია, იკერ კასილიასი

ატლეტიკო-სოსიედადი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ტიაგო; ***დისკვ***-მარიო სუარესი

სოსიედადი: ***ტრავმ***-დიეგო იფრანი, ილარამენდი, გონსალო კასტრო, გორკა ელუსტუნდო

სარაგოსა-გრანადა

სარაგოსა: ***ტრავმ***-აპონო, რობერტო, ხავი ალამო, ივან ობრადოვიჩი; ***დისკვ***-გლენ ლოვენსი

გრანადა: ***ტრავმ***-კარლოს არანდა, დანიელ ბენიტესი, ფრან რიკო

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	26	22	2	2	83:30	68
2.ატლეტიკო	26	18	3	5	48:23	57
3.რეალი	26	17	4	5	64:24	55
4.მალაგა	26	12	7	7	35:24	43
5.ვალენსია	26	12	6	8	38:39	42
6.სოსიედადი	26	10	8	7	44:34	41
7.ბეტისი	26	12	4	10	37:38	40
8.ხეტაფე	26	11	5	10	39:42	38
9.რაიო	26	12	2	12	34:43	38
10.სევილია	25	10	5	11	38:38	35
11.ლევანტე	26	10	5	11	32:40	35
12.ვალიადოლიდი	26	9	7	10	34:33	34
13.ესპანიოლი	26	8	8	10	31:35	32
14.ბილბაო	26	8	5	13	31:49	29
15.ოსასუნა	26	6	7	12	22:28	28
16.გრანადა	26	7	5	14	25:38	26
17.სარაგოსა	26	7	4	15	24:38	25
18.მალიორკა	26	5	6	15	26:49	21
19.სელტა	26	6	5	15	25:36	20
20.დეპორტივო	26	3	8	15	29:56	17

იტალია

09.03 უდინეზე-რომა	2.87	3.25	2.45
10.03 ატალანტა-პესკარა	1.5	3.2	3.3
10.03 კალიარი-სამპდორია	2.25	3.2	3.3
10.03 პარმა-ტორინო	2.0	3.3	3.75
10.03 პალერმო-სიენა	1.91	3.3	4.33
10.03 იუვენტუსი-კატანია	1.3	5.0	10.0
10.03 კიევო-ნაპოლი	3.6	3.3	2.05
10.03 ინტერი-ბოლონია	1.73	3.5	5.0
10.03 ლაციო-ფიორენტინა	2.5	3.0	3.0

უდინეზე-რომა

უდინეზე: ***ტრავმ***-ჯოვანი პასკუალე, მეჰდი ბენათია, ანდრეა ლაძარი, ჯანპიერო პინცი

რომა: ***ტრავმ***-მარკუნიო, მირალემ პიანიჩი, ლეანდრო გასტანი, მატია დესტრო; ***დისკვ***-მაიკლ ბრედლი, პაბლო ოსვალდო

ატალანტა-პესკარა

ატალანტა: ***ტრავმ***-ლიონელ სკალონი, ჯანპაოლო ბელინი, ლუკა გიგარინი, გვიდო მარილუნგო, დანიელე კაპელი; ***დისკვ***-კარლოს კარმონა

პესკარა: ***ტრავმ***-ანტონიო ბალძანო, ჯანლუკა კაპრარი, მარკო კაპუანო, ფრანჩესკო მოდესტო, ეუგენიო რომულო ტოგნი, გაეტანო დაგოსტინო, ფერდინანდო სფორციინი

კალიარი-სამპდორია

კალიარი: ***ტრავმ***-დანიელე კონტი; ***დისკვ***-ფრანჩესკო პისანო

სამპდორია: ***ტრავმ***-ედერი, დანიელე გასტალდელო, სიმონ პოულსენი, გაეტანო ბერარდი; ***დისკვ***-ნენად კრსტიჩიჩი

პარმა-ტორინო

პარმა: ***ტრავმ***-ანტონიო მირანტე, ანდრეა კოდა, გაბრიელ პალეტა, იშაკ ბელფოდილი, მაკდონალდ მარიგა, ფაბიანო სანტაკროკე, დანიელე გალოპა

ტორინო: ***ტრავმ***-ჯონატასი, პაბლო კასერესი; ***დისკვ***-ალესიო ჩერჩი, ალესანდრო გაცი, აბუ დიოპი

პალერმო-სიენა

პალერმო: ***ტრავმ***-ედგარ ბარეტო, ანდრეა მანტოვანი, აბელ ერნანადესი

სიენა: ***ტრავმ***-ნიკოლას პოცი, სიმონე ვერგასოლა

იუვენტუსი-კატანია

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ნიკოლას ანელკა, მარტინ კასერესი, პაოლო დი ჩელიე, ნიკლას ბენდტნერი, სიმონე პეპე; ***დისკვ***-არტურო ვიდალი

კატანია: ***ტრავმ***-პაბლო ბარიენტოსი, ჩირო კაპუანო; ***დისკვ***-ნიკოლა ლეგროტალიე

კიევო-ნაპოლი

კიევო: ***ტრავმ***-ნიკოს სპიროპულოსი, ჯენარო სარდო, სიმონე ბენტივოლიო

ნაპოლი: ***ტრავმ***-მიგელ ბრიტოსი; ***დისკვ***-პაოლო კანავარო

ინტერი-ბოლონია

ინტერი: ***ტრავმ***-ფრედი გუარინი, ანდრეა რანოკია, იუტო ნაგამოტო, მატიას სილვესტრი, ჯოელ ობი, გაბი მუდინგაი, ვალტერ სამიელი, ლუკა კასტელაცი; ***დისკვ***-სამირ ჰანდანოვიჩი

ბოლონია: ***ტრავმ***-პანაგიოტის კონე, ჩეზარე ნატალი

ლაციო-ფიორენტინა

ლაციო: ***ტრავმ***-აბდულაიე კონკო, ანტონიო როზი, მიროსლავ კლოზე, კრისტიან ბროკი; ***დისკვ***-ანტონიო კანდრევა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-აჰმედ ეგაზი; ***დისკვ***-ალბერტო აკვილანი

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	27	18	5	4	54:18	59
2.ნაპოლი	27	15	8	4	47:22	53
3.მილანი	27	14	6	7	48:32	48

4.ინტერი	27	14	5	8	44:36	47
5.ლაციო	27	15	5	8	37:32	47
6.ფიორენტინა	27	13	6	8	48:33	45
7.რომა	27	13	4	10	57:48	43
8.კატანია	27	12	6	9	36:34	42
9.უდინეზე	27	10	10	7	36:34	40
10.სამპდორია	27	10	6	11	34:30	35
11.ბოლონია	27	9	5	13	38:36	32
12.ტორინო	27	7	12	8	32:32	32
13.პარმა	27	8	8	11	32:36	32
14.კალიარი	27	8	7	12	32:47	31
15.ატალანტა	27	8	5	14	24:40	30
16.კიევო	27	8	5	14	27:44	29
17.ჯენოა	27	6	8	13	27:40	26
18.სიენა	27	7	6	14	27:39	21
19.პესკარა	27	6	3	18	20:54	21
20.პალერმო	27	3	12	12	22:39	20

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

გერმანია

09.03 ბაიერნი-ფორტუნა	1.12	8.0	19.0
09.03 შალკე-დორტმუნდი	3.6	3.5	2.0
09.03 ფიურტი-ჰოფენჰაიმი	2.5	3.3	2.7
09.03 ფრაიბურგი-ვოლფსბურგი	1.91	3.4	4.0
09.03 მაინცი-ლევერკუზენი	2.87	3.3	2.4
09.03 გლადბახი-ვერდერი	2.25	3.4	3.1
10.03 ჰანოვერი-აინტრახტი	2.3	3.4	3.0
10.03 შტუტგარტი-ჰამბურგი	2.25	3.4	3.1

ბაიერნი-ფორტუნა

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჰოლგერ ბადშტურბერი

ფორტუნა: ***ტრავმ***-ხუანანი, რობერტ ალმერი, შტეფან რეისინგერი, ანდრეი ვორონინი

შალკე-დორტმუნდი

შალკე: ***ტრავმ***-ლარს უნერსტალი, ჩიპრიან მარიკა, იბრაჰიმ აფელაი, კირიაკოს პაპადოპულოსი; ***დისკვ***-ჯერმეინ ჯონსი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სვენ ბენდნერი, პატრიკ ოვომოიელა

ფიურტი-ჰოფენჰაიმი

ფიურტი: ***ტრავმ***-ედგარ პრიბი, ზოლტან შტიბერი, მიხაელ პეფელე

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ვიჩენტეო გრიფო, ტომ ვიზე, სეიად სალიჰოვიჩი, სებასტიან რუდი, ბორის ვუკჩევიჩი

ფრაიბურგი-ვოლფსბურგი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ეზეკიელ კალვენტე, სებასტიან ფრეისი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ნალდო, ალექსანდერ მადლუნგი

მაინცი-ლევერკუზენი

მაინცი: ***ტრავმ***-ელკინ სოტო, ჯუნიორ დიასი, იან კირჰოფი, ლორის კარიუსი, ნიკო ბუნგერტი; ***დისკვ***-რადოსლავ ზაბავნიკი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ომერ ტოპრაკი, ქარიმ ბელარაბი; ***დისკვ***-ფილიპ ვოლშეიდი

გლადბახი-ვერდერი

გლადბახი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ტორბენ მარქსი

ვერდერი: ***ტრავმ***-ჯოზეფ აკპალა, ნიკლას ფულკრუგი, ფილიპ ბარგფრიდი; ***დისკვ***-სებასტიან პროდი, სოკრატის პაპასტატოპულოსი

ჰანოვერი-აინტრახტი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-მამე დიუფი, მარიო ეგიმანი, სტივ ჩერუსნდოლო, ლარს სტინდი, ლეონ ანდრეასენი

აინტრახტი: ***ტრავმ***-მარკ ოლივერ კემპი; ***დისკვ***-სებასტიან როდე

შტუტგარტი-ჰამბურგი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ალეხანდრი მაქსიმი, თუნაი თორუნი, მამადუ ბა, კაკაუ

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ივო ილიჩევიჩი, ჟი ჯინ ლამი

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	24	20	3	1	58:7	63
2.დორტმუნდი	24	13	7	4	54:28	46
3.ლევერკუზენი	24	13	6	5	45:31	45
4.აინტრახტი	24	11	5	8	38:35	38
5.ფრაიბურგი	24	9	9	6	30:23	36
6.შალკე	24	10	6	8	41:39	36
7.ჰამბურგი	24	10	5	9	29:33	35
8.მაინცი	24	9	7	8	32:29	34
9.გლადბახი	24	8	10	6	33:34	34
10.ჰანოვერი	24	10	3	11	47:45	33
11.შტუტგარტი	24	8	5	11	26:42	29
12.ფორტუნა	24	7	7	10	29:32	28
13.ნიურნბერგი	24	6	10	8	24:31	28
14.ვერდერი	24	8	4	12	39:48	28
15.ვოლფსბურგი	24	7	6	11	24:37	27
16.აუგსბურგი	24	4	9	11	21:36	21
17.ჰოფენჰაიმი	24	4	4	16	27:49	16
18.ფიურტი	24	2	8	14	14:37	14

საფრანგეთი

09.03 პსჟ-ნანსი	1.17	7.0	15.0
09.03 აიაჩო-ლორიენი	2.6	3.25	2.7
09.03 ტრუა-რეიმსი	2.1	3.1	3.75
09.03 ბრესტი-ტულუზა	2.8	3.1	2.6
09.03 ვალანსიენი-ლილი	3.25	3.2	2.25
09.03 ევიანი-სოშო	2.05	3.25	3.75
10.03 ნიცა-მონპელიე	2.4	3.3	2.9
10.03 ბორდო-ბასტია	1.5	4.0	7.0
10.03 ლიონი-მარსელი	2.1	3.25	3.5

პსჟ-ნანსი

პსჟ: ***ტრავმ***-კრისტოფ ჟალე, ტიაგო მოტა, ტიაგო სილვა

ნანსი: ***ტრავმ***-ვინსენტ მურატორი, რომან გრანგე

აიაჩო-ლორიენი

აიაჩო: ***ტრავმ***-დამიენ ტიბერი, ადრიან მუტუ, ფუსენი დიავარა, დავიდ ებერჰაუსერი

ლორიენი: ***ტრავმ***-მოჰამედ აბუ, მარიო ლემინა, ბენჯამინ კორნე, ალან ტრაორე

ტრუა-რეიმსი

ტრუა: ***ტრავმ***-ელოგე ენზა-იამისი, სებასტიან გრო

რეიმსი: ***ტრავმ***-მაიკლ ტაკალფრიდი, ფლოიდ აიტე, ჟულიენ ტუდიჩი

ბრესტი-ტულუზა

ბრესტი: ***ტრავმ***-ქამელ ჩაფნი, აბელ ჰალედი, იოან მარტიალი, პოლ ბაისი

ტულუზა: ***ტრავმ***-სერჟ აური, ჯონათან ძებინა

ვალანსიენი-ლილი

ვალანსიენი: ***ტრავმ***-ანტონი ლე ტალეკი, მაორ მელიკსონი,

ლილი: ***ტრავმ***-იდრის განა გუიე, რიო მავუბა, რაიან მენდესი

ევიანი-სოშო

ევიანი: ***ტრავმ***-ალდო ანგულა, ბრის ჯა ჯეჯეი, ჯონათან მენსა, ალი მადი; ***დისკვ***-იანიკ საგბო

სოშო: ***ტრავმ***-დავიდ სოუ, ლიონელ ზუმა, როი კონტო, პიერიკ კროსი

ნიცა-მონპელიე

ნიცა: ***ტრავმ***-ფაბიენ დაო კასტელანა, მოჰამანე ტრაორე, ჯერემი პიდი, დარიო ცვიტანინჩი, ხავიერ პენტეკოტე; ***დისკვ***-ვალენტინ ესერიჩი

მონპელიე: ***ტრავმ***-რემი კაბელა, ჯამალ საიჰი, გარი ბოკალი, ქარიმ აიტ ფანა

ბორდო-ბასტია

ბორდო: ***ტრავმ***-ანრი სავე, ადი სახო, დიეგო როლანი, მარიანო, ლანდრი ნგუემო

ბასტია: ***ტრავმ***-ფეტი ჰარეკი, ჟულიენ საბლე, მეტიუ სანსი, იანიკ კაუზაკი

ლიონი-მარსელი

ლიონი: ***ტრავმ***-მაქსიმ გონალონსი, რაჰიდ გეზალი, იოან გურკუფი

მარსელი: ***ტრავმ***-მორგან ამალფიტანო, ბენუა ჩეროუ

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	27	16	6	5	49:17	54
2.ლიონი	27	15	7	5	47:26	52
3.მარსელი	27	14	4	8	34:32	49
4.სენტ ეტიენი	27	13	8	6	44:19	47
5.ნიცა	27	12	9	6	39:32	45
6.მონპელიე	27	13	5	9	43:32	44
7.ლილი	27	11	10	6	36:27	43
8.რენი	27	12	5	10	39:36	41
9.ლორიენი	27	10	10	7	43:43	40
10.ბორდო	27	9	11	7	27:24	38
11.ვალანსიენი	27	9	8	10	35:37	35
12.ტულუზა	27	8	10	9	32:32	34
13.ბასტია	27	8	6	13	30:51	30
14.აიაჩო	27	7	10	10	29:37	29
15.ბრესტი	27	8	5	14	28:37	29
16.სოშო	27	7	6	14	28:40	27
17.რეიმსი	27	6	9	12	23:31	27
18.ევიანი	27	5	9	13	23:39	24
19.ნანსი	27	4	9	14	24:45	21
20.ტრუა	27	3	11	13	29:48	20

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

11 მარტს რომის პაპს აირჩევენ

რომის პაპ ბენედიქტ მეთექვსმეტის გადადგომის შემდეგ, ბუკმეიკერების მიხედვით, რომის პაპობის ოთხი ძირითადი პრეტენდენტი დასახელდა. ესენი არიან: შავკანიანი კარდინალი პიტერ ტარკსონი განადან, იტალიელი არქიეპისკოპოსი ანჯელო სკოლა, იტალიელი კარდინალი ტარჩიზიო ბერტონე და კანადელი კარდინალი მარკ უელე.

სავარაუდოდ 11 მარტს კონკლავი გაიმართება, სადაც ახალ რომის პაპს აირჩევენ. რომის პაპის არჩევაში მონაწილეობას მიიღებს 115 „ეკლესიის მთავარი", რომელთა ასაკი 80 წელს არ აღემატება. ბენედიქტ მეთექვსმეტის მიერ ხელმოწერილი სპეციალური ბრძანების მიხედვით, მისი მემკვიდრე კონკლავის მონაწილეთა ორი მესამედი ხმით უნდა იქნეს არჩეული.

იტალიელი არქიეპისკოპოსი ანჯელო სკოლა 2002 წლის 5 იანვრიდან ვენეციის პატრიარქი, ხოლო 2011 წლის 28 ივნისიდან მილანის არქიეპისკოპოსია. მას 120-ზე მეტი სტატია აქვს დაწერილი ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ჟურნალებში, მათ შორის ბიომედიცინური ეთიკისა და სექსუალობის შესახებ.

კარდინალი პიტერ ტარქსონი 2009 წლიდან ვატიკანის თანასწორობისა და სამართლიანობის საბჭოს ხელმძღვანელობს და ის პირველი განელი კარდინალია. მისი აფრიკული სახელი კოდვო „ორშაბათს" აღნიშნავს: ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, ახალშობილს იმ დღის სახელს არქმევენ, რომელ დღესაც ის დაიბადა.

კანადელი კარდინალი მარკ უელე ლათინური ამერიკის საკითხებში პაპის კომისიის თავმჯდომარეა. ის აბორტების წინააღმდეგ იბრძვის და ფედერალურ ხელისუფლებს ორსულ ქალთა მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

იტალიელი კარდინალი ტარჩიზიო ბერტონე 2006 წლის 15 სექტემბრიდან წმინდა საყდრის მთავრობის სახელმწიფო მდივანია. ბენედიქტეს გადადგომისა და მისი მემკვიდრის არჩევამდე ის ვატიკანის დროებითი ლიდერია.

რომის პაპი კათოლიკური ეკლესიისა და ვატიკანის სახელმწიფოს მეთაურია. რელიგიური ტრადიციის მიხედვით, რომის პაპი ითვლება მოციქულ პეტრეს მემკვიდრედ, ქრისტეს წარმომადგენლად და ეკლესიის ხილულ წინამძღვრად. პაპი ბენედიქტე მეთექვსმეტე პეტრე მოციქულის 265-ე მემკვიდრეა. კარდინალთაგან რომის პაპს კონკლავი ირჩევს მთელი სიცოცხლის ვადით, 1523 წლიდან (კლიმენტი მეშვიდე) 1978 წლამდე (იოანე-პავლე მეორე) რომის პაპად პრაქტიკულად მხოლოდ იტალიელებს ირჩევდნენ. იტალიელთა გარდა, მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდნენ ფრანგი (19-ჯერ), ბერძენი (15-ჯერ), სირიელი (7-ჯერ), ესპანელი (7-ჯერ), გერმანელი (6 -ჯერ), ეგვიპტელი (ალექსანდრიიდან, 2-ჯერ), ინგლისელი, პოლონელი, პორტუგალიელი და ჰოლანდიელი პაპები.

რომის პაპის ხელისუფლება შეუზღუდავია. მისი საეკლესიო პრომატი ემყარება ვატიკანის პირველი საეკლესიო კრების (1869-1870) გადაწყვეტილებას, ხოლო ეკლესიის მმართველობაში ნომინალურად მონაწილეობს ვატიკანის მეორე საეკლესიო კრების (1962-1965) დადგენილების შესაბამისად (ეპისკოპოსთა კოლეგია). 1965 წელს შექმნილ ეპისკოპოსთა სინოდს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება აქვს. რომის პაპი იწვევს მსოფლიო საეკლესიო კრებებს, ამტკიცებს მათ დადგენილებებს, ანიჭებს კარდინალის წოდებას, ამტკიცებს ეპისკოპოსებს. მას ექვემდებარებიან მონაზვნური ორდენების გენერლები.

რომის პაპის რეზიდენცია ვატიკანშია. იგი ვატიკანის შეუზღუდავი გამგებელია, ატარებს საკუთარ საშინაო და საგარეო პოლიტიკას თავისი ლეგატების, ენციკლიკებისა და ეპისკოპოსთა მეშვეობით. სხვადასხვა ქვეყნებში რომის პაპი გავლენას ახდენს კათოლიკური პარტიების, პროფკავშირებისა და საერო ორგანიზაციების მოღვაწეობაზე.

რომან ფიფია: „წარმატების მიღწევას დრო სჭირდება"

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– ამ ინვესტიციის ფონზე გუნდის მიმართ მოთხოვნაც შესაბამისი უნდა იყოს.

– მთავარია, ეს მოთხოვნები სამართლიანი იყოს. როდესაც შენ არაფერს იშურებ და ქმნი ყველა პირობას იმისათვის, რომ გარკვეულ წარმატებას მიაღწიო, ბუნებრივია, ელი შედეგს და ამ მხრივ მოთხოვნების წაყენების სრული უფლებაც გაგაჩნია. ჩვენ მიერ განახლებული ინფრასტრუქტურა, აკადემიაც, აუცილებლად მოიტანს შედეგს, თუმცა, ამას დრო სჭირდება. „დინამო" არ არის ჩვეულებრივი გუნდი, ამიტომ აქ მოხვედრილმა ყველა ფეხბურთელმა უნდა გაითავისოს ის პასუხისმგებლობა, თუ რა ტრადიციებისა და ისტორიის მქონე გუნდის მაისურს ირგებს. „დინამოში" ნაცნობობით, მეგობრობითა და ნათესაობით ვერავინ მოხვდება. ეს ის გუნდია, სადაც ადგილის დამკვიდრება მხოლოდ დაუღალავი შრომისა და პროფესიონალიზმის ხარჯზეა შესაძლებელი.

– დღეს გუნდში შექმნილი პირობები საქართველოში საუკეთესოა. სხვა გუნდებისგან რა განსხვავებული პირობები აქვს „დინამოს"?

– დღეს საქართველოში ბევრ გუნდს აქვს კარგი ინფრასტრუქტურა, თუმცა, „დინამოს" ბაზა მაინც ყველასგან განსხვავებული და გამორჩეულია. მე ვიტყოდი, რომ აქაურობა უფრო შატოს ტიპის ბაზას ჰგავს, სადაც ძალიან მყუდრო და მშვიდი გარემოა, რაც მნიშვნელოვანია ფეხბურთელებისთვისაც და აქ მომუშავე პერსონალისთვისაც. აქ შექმნილი ატმოსფერო თითოეულ ადამიანში საკუთარი საქმის იდეალურად კეთების სურვილს ბადებს. პერსონალი, რომელიც აქ მუშაობს, საკუთარი საქმის პროფესიონალი, წესიერი და ღირსეული ადამიანია.

– რა მიზანს უსახავთ გუნდს და, თქვენი აზრით, რის ხარჯზე უნდა მიაღწიოს წარმატებას „დინამომ"?

– ჩვენი ამოცანა ცალსახად მაღალი მიზნებისათვის ბრძოლაა, იმ მიზნებისათვის, რომელსაც უნდა მივაღწიოთ ფეხბურთელებში არსებული ჯანსაღი კონკურენციისა და მოტივაციის ხარჯზე. ყველა ფეხბურთელისთვის მთავარი მოტივაცია აქ მოხვედრა და ადგილის დამკვიდრება უნდა იყოს და ყველა უნდა აცნობიერებდეს იმ საშიშროებას, რა შედეგიც შეიძლება მიიღოს მოტივაციის დაკარგვის შემთხვევაში. ჩვენ მიზნად მაღალი შედეგების მიღწევა გვაქვს დასახული. ამ მიზნებს კი მხოლოდ უაღრესად მოტივირებული ფეხბურთელებით მივაღწევთ.

– წინა ჩემპიონატებისგან განსხვავებით, ეროვნულ პირველობაზე მეტ-ნაკლებად კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნა. გაკმაყოფილებთ თუ არა საქართველოს ჩემპიონატის დონე?

– ბოლო წლებისგან განსხვავებით, ჩემპიონატის დონე ამაღლდა, თუმცა, წინსვლა და კიდევ უფრო განვითარება მხოლოდ იმის გამო გაჭირდება, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს ჩემპიონატში ჯერ კიდევ არიან გუნდები, რომელთაც სპონსორი არ ჰყავთ. ასეთი ვითარება პირადად ჩვენი განვითარებისთვისაც ძალიან ცუდია. ფინანსურად ძლიერი, მინიმუმ 6 გუნდი მაინც უნდა მონაწილეობდეს უმაღლეს ლიგაში, რომ კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნას. სხვაგვარად წინსვლასა და განვითარებაზე საუბარი ზედმეტია.

– რა ვითარებაა პრემიერლიგის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით?

– პრემიერლიგის შექმნის ორი მცდელობა იყო. ასეთი დამოუკიდებელი ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული პირველობა, შესაძლოა, უფრო მიმზიდველი და მომგებიანი იყოს ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის. დავაყენეთ საკითხი რადიკალური რეფორმების დასაწყებად, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჩავატარეთ რამდენიმე მუშაობა შეხვედრა და, რაც ყველაზე მთავარია, ჩამოყალიბდა თორმეტთა საბჭო. თუკი აქამდე კლუბებსა და ფედერაციას შორის კომუნიკაციის პრობლემა იყო, დღეს ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია, რადგან საბჭოს შექმნამ კლუბებსა და ფედერაციას შორის ურთიერთობა უფრო ეფექტური და საქმიანი გახადა. პრემიერლიგის საკითხის წამოჭრამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საფეხბურთო წრეებში და ეს მხოლოდ მისასალმებელია, თუმცა, მარტო პრემიერლიგის შექმნით ქართული ფეხბურთი ვერ განვითარდება. ამ პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთოს მთელი საფეხბურთო სამყარო და ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა ითამაშოს სპორტულმა მედიამ, რომელზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. მათ გარეშე და ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენების ფართოდ გაშუქების გარეშე წინსვლაზე საუბარი ზედმეტი იქნება. ერთობლივად გაწეული საქმიანობის ხარჯზე კი გარკვეული დროის შემდეგ შესაძლებელი იქნება შედეგის მიღწევა.

– გაკეთდა მაღალი დონის აკადემია და სკოლა. რა მიზანს ისახავდა აკადემიის გაკეთება და რა გათვლები გაქვთ, როდის შეიძლება, რომ აკადემიის აღზრდილებმა დინამოს მაისური მოირგონ?

– ვიტალი დარასელიას სახელობის დინამოს აკადემია, რამდენიმე ფაქტორის გამო, უაღრესად მნიშვნელოვანი არა მარტო წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით არის. ეს აკადემია არ ემსახურება მხოლოდ „დინამოს", ფეხბურთსა და ფეხბურთის განვითარებას. აკადემიის პარალელურად გაკეთდა სკოლაც, რომელიც პირველ რიგში ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას მოემსახურება. ჩვენი მიზანი იყო, შეგვექმნა საუკეთესო პირობები აკადემიის ფეხბურთელებისთვის და სკოლის შექმნის ხარჯზე მიგვეცა შანსი იმ დამწყები ფეხბურთელებისთვის, რომლებიც ამ ეტაპზე აკადემიის მიღმა დარჩნენ ანუ სკოლის აღსაზრდელებიც იმავე პირობებში ივარჯიშებენ, როგორშიც აკადემიის ფეხბურთელები და მათ, პროგრესირების შემთხვევაში, ავტომატურად მიეცემათ აკადემიაში გადასვლის საშუალება. ამით ჩვენ ვუქმნით მათ პირობას, რომ იდეალურ ატმოსფეროში გაიუმჯობესონ სათამაშო კონდიციები, რაც შეუმჩნეველი არავის დარჩება.

– რატომ უნდა შეაჩეროს მშობელმა არჩევანი „დინამოს" სკოლაზე და არა რომელიმე სხვა საფეხბურთო სკოლაზე?

– ჩვენი ამოცანა იყო, შეგვექმნა საუკეთესო სკოლა ყველა პარამეტრის მიხედვით. სამწუხაროდ, დღეს ბავშვთა საფეხბურო სკოლებში მთავარ პრობლემას მოედნების სიმცირე წარმოადგენს. თუკი არის მოედანი, ხშირ შემთხვევაში არის უხარისხო საფარით, რაც პირდაპირ კავშირშია ბავშვების ტრავმიანობასთან. აკადემიაში უმაღლესი ხარისხის ბოლო თაობის მინდვრებია დაგებული, რაც, პრაქტიკულად, გამორიცხავს მოზარდებში წელის, კოჭის, მუხლების, სახსრებისა და სხვა მსგავს დაავადებებს. ამის თავიდან აცილებას ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური მწვრთნელების მიერ წარმართული საწვრთნელი პროცესიც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის და იმ მშობლებისთვის, რომლებსაც სურთ დინამოს საფეხბურთო სკოლაში შვილების მოყვანა. ეს არის აკადემია, სადაც გათვლა არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხსა და პროცესის სწორად წარმართვაზეა გაკეთებული.

– ინფრასტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა „დინამო არენაზეც". რა მიზანს ემსახურება სტადიონზე ასეთი მასშტაბური სარემონტო სამუშაოების ჩატარება?

– „დინამო არენაზეც" მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩავატარეთ. ძალიან ბევრი რამ შევცვალეთ, გადავაკეთეთ და საერთაშორისო სტანდარტებს მივუახლოვეთ. სტადიონის შიდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად მაღალ დონეზე გაკეთდა იზოლირებული ადგილი ოფიციალური სტუმრებისათვის. მიმდინარეობს მზადება მუზეუმისა და ფან შოპის გახსნისთვის. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სტადიონზე მოსულმა ვეტერანმა ფეხბურთელებმა მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნონ თავი და ვცდილობთ, მათ მიმართ ყურადღება არ შევანელოთ. ჩვენი მხრივ, მათი ღვაწლისა და დამსახურების დაფასების მიზნით 35 ვეტერან ფეხბურთელს ყოველთვიურად დავუნიშნეთ 250- ლარიანი პენსია. გვინდა, რომ „დინამო არენას" ხალხი მხოლოდ თამაშების დროს არ სტუმრობდეს. ამიტომ გავაკეთეთ სავაჭრო ცენტრი, რამაც კიდევ უფრო უნდა გამოაცოცხლოს იქაურობა.

– რას უნდა ელოდეს გულშემატკივარი „დინამოსგან"?

– „დინამოსგან" ყველა წარმატებას ელის და ეს წარმატება აუცილებლად იქნება. იქნება ფეხბურთელების კარგი თამაშისა და გულშემატკივრების მხარდაჭერის ხარჯზე. დასაფასებელია იმ ხალხის გვერდში დგომა, რომლებიც გუნდს „დინამო არენაზეც" და გასვლით თამაშებზეც ქომაგობენ. წარმოუდგენელია ფეხბურთი გულშემატკივრის გარეშე. საბედნიეროდ, „დინამოს" ჰყავს „გლადიატორები" (ფან კლუბი) და დიდი იმედი მაქვს, რომ მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ამაში კი დიდი როლი უნდა შეიტანონ თავად ფეხბურთელებმა, გააუმჯობესონ თამაშის ხარისხი, რაც ავტომატურად გაზრდის გულშემატკივართა რაოდენობას.

– რა კომენტარი შეგიძლიათ გაკეთოთ იმ აჟიოტაჟთან დაკავშირებით, რომელიც ბოლო პერიოდში „დინამოს" ირგვლივ შეიქმნა?

– „დინამოს" ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით კლუბმა ოფიციალური განცხადება უკვე გააკეთა და ჩვენი პოზიცია ამ მხრივ უცვლელია, რადგან წამოჭრილ თემებთან და გაჩენილ კითხვებთან ჩვენ არანაირ კავშირში არ ვართ. ვერც ვერანაირი ლოგიკით ვიქნებით რაიმე სახის პრეტენზიის ადრესატი. შესაძლოა, მათ აქვთ თავიანთი სიმართლე, მაგრამ ამ სიმართლის დასადგენად არსებობს შესაბამისი ორგანოები და სასამართლო.

ჩეხეთში პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართა

ჩეხეთში ახალარჩეული პრეზიდენტის მილოშ ზემანის ინაუგურაცია გაიმართა. ამის შესახებ „ბიბისი" იუწყება. გამოცემის ინფორმაციით, მილოშ ზემანი ქვეყნას სათავეში უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში დარჩება.

